

ირინე გოცირიძე



**თურქული ენის
სახელმძღვანელო**



ირინე გოცირიძე

**თუჩუღი ენის
სახელმძღვანელო**

ირინე გოცირიძე

თურქული ენის სახელმძღვანელო
(დაწყებითი კურსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექცია, სამეცნიერო საბჭო და წიგნის ავტორი მადლობას უხდისან სააქციო საზოგადოება "დავით სარაჯიშვილი და ენისელის" პრეზიდენტს ბატონ ელგუჯა ბუბუტიშვილს სახელმძღვანელოს გამოცემის დაფინანსებისათვის.

რეცენზენტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი აიგულ ცალქალამანიძე

რედაქტორი: გიორგი ანთელავა

ISBN 99940-722-5-0

ისტორიის, საზოგადოებრივ-კულტურული და სპორტული ცხოვრების შესახებ. ტექსტები დალაგებულია იმ თანმიმდევრულობით, რასაც მოითხოვს შესასწავლი ენის პროგრამა და არ არის დაცული ქრონოლოგიური პრინციპი: ერთსა და იმავე ავტორს სახელმძღვანელოს სხვადასხვა გაკვეთილში შეხვდება მკითხველი, იმის მიხედვით, თუ რა ენობრივი მოვლენის საილუსტრაციოდ არის მოხმობილი ამ ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები.

თითოეული გაკვეთილი ერთი კვირის სამყოფ მასალას შეიცავს. ორთოგრაფიული სიჭრელე (მაგ.: bazan//bazen, meyva//meyve) იმით არის განპირობებული, რომ ჩვენ მიერ შერჩეული თურქული ტექსტები ამოკრებილია სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნებიდან და მათში იმ დროისათვის მოქმედი ორთოგრაფიული ნორმებია დაცული.

ავტორის მიუთითებლად წარმოდგენილი მასალის ნაწილი ჩვენი შედგენილია, ნაწილი კი ამოღებულია თურქეთში, რუსეთში და ბულგარეთში გამოცემული სახელმძღვანელოებიდან შესასწავლ გრამატიკულ კატეგორიებთან მისადაგებით.

ამ ტიპის სახელმძღვანელო დღემდე არსად შექმნილა და, რადგანაც ეს არის პირველი ცდა, ბუნებრივია, იგი დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისაგან. წიგნის ავტორი დიდი მადლობით მიიღებს სპეციალისტთა ნებისმიერ საქმიან რჩევას და შენიშვნას.

ავტორი.

პირველი გაკვეთილი

§1. თურქული ანბანი

თურქული ანბანი 29 ასოსაგან შედგება. ამთგან 8 ასო ხმოვანი ბგერის ნიშანია, 21 ასო კი - თანხმოვანი ბგერების.

თურქული	ქართული	თურქული	ქართული
A a	ა	M m	მ
B b	ბ	N n	ნ
C c	ჯ	O o	ო
Ç ç	ჩ	Ö ö	ö
D d	დ	P p	ფ
E e	ე	R r	რ
F f	ფ (რუს.)	S s	ს
G g	გ	Ş ş	შ
- ğ	—	T t	თ
H h	ჰ	U u	უ
I ı	ы (რუს.)	Ü ü	ü
İ i	ი	V v	ვ
J j	ჟ	Y y	იოტი
K k	კ	Z z	ზ
L l	ლ		

ხმოვანი ბგერების ნიშნებია: a, e, ı, i, o, ö, u, ü

თანხმოვანი ბგერების ნიშნებია: b, c, ç, d, f, g, ğ, h, j, k, l, m, n, p, r, s, ş, t, v, y, z,

შენიშვნა: თურქულ ენაში მხოლოდ არაბული და სპარსული ენებიდან ნასესხებ სიტყვებში გვხვდება გრძელი ხმოვნები: *â, î, ü*, რომლებიც გრაფიკულად ასე გამოიხატება: *â, î, ü* (ხმოვნის თავზე დასძულია აქსანი (^)).

§2. ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასიფიკაცია

ხმოვნები:

მაგარი ხმოვნები /უკანა რიგის/: a, 1, o, u

რბილი ხმოვნები /წინა რიგის/: e, i, ö, ü

ბაგისმიერი ხმოვნები: o, ö, u, ü

არაბაგისმიერი ხმოვნები: a, e, 1, i

ფართო ხმოვნები /ღია/: a, e, o, ö

ვიწრო ხმოვნები: 1, i, u, ü

თანხმოვნები:

ხშული თანხმოვნები		ნაპრალლოვანი თანხმოვნები	
წყვილეულები		წყვილეულები	
მჟღერები	ყრუები	მჟღერები	ყრუები
b	p	j	ŷ
c	ç	v	f
d	t	z	s
g	k	ცალეულები	
ნარნარები		ğ	-
l, m, n, r	-	-	h
		y	-

შენიშვნა: 1. თანხმოვანი **ğ** სიტყვის თავში არ გვხვდება. სიტყვის შიგნით მაგარი ხმოვნის მეზობლად არ წარმოითქმის. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თვითონ არ წარმოითქმის, მაგრამ მის წინ მღვობი ხმოვანი წარმოითქმის გრძლად.

რბილი ხმოვნების მეზობლად **ğ** წარმოითქმის როგორც იოტი.

2. სამი თანხმოვანი: **g, k, l** რბილად წარმოითქმის რბილი ხმოვნების და აქსანიანი ხმოვნების წინ.

ტექსტი

İşte bir oda. Küçük oda. Nasıl oda? Küçük bir oda. İşte dersane. Bu ne? Bu dersane. O ne? O tavan. Ak tavan. Temiz tavan. Temiz ak tavan. Bu döşeme. Bir tavan ve bir döşeme. Şu ne? Bu masa. Nasıl bir masa? Geniş bir masa. Alçak geniş masa. O ne? O kapı. Yüksek kapı. Yüksek kara kapı. Bu pencere. Geniş pencere. Geniş ve temiz pencere. Bu parmak. Kaç parmak? Bir, iki, üç, dört, beş, altı, yedi, sekiz, dokuz, on parmak. İşte on parmak.

Kaç duvar? Dört duvar. Kaç masa? Bir masa. İşte bir kitap. O ne? O defter. İşte iki defter. İşte iki kitap ve dokuz defter. Birkaç kitap. Birçok defter.

* * *

Bu kim? Bu öğretmen. Şu öğrenci. Kaç öğretmen ve kaç öğrenci? Bir öğretmen ve birkaç öğrenci. İşte bir kağıt. Temiz kağıt. İşte tahta, silgi ve tebeşir. Temiz tahta, temiz silgi ve küçük beyaz tebeşir.

Bu ne? Bu sandalye. Alçak sandalye. Nasıl bir sandalye? Küçük bir sandalye. Büyük oda. Ak duvar. Yuvarlak masa. Kalın kitap. İnce defter. Üç tane temiz sandalye. Dört ak duvar. Altı tane ince defter ve üç tane kalın kitap. Bu, nasıl bir kitap? Bu, kalın kitap. Ya o kitap nasıl? O, ince kitap. Bu, beyaz tebeşir, o da beyaz tebeşir. Bu masa alçak. Sandalye de alçak.

სიტყვები:

ak თეთრი
alçak დაბალი
altı ექვსი
beş ხუთი
beyaz თეთრი
bir ერთი

birçok ბევრი, მრავალი
birkaç რამდენიმე
bu ეს
büyük დიდი
da, de 1/.კი (მაპირისპირებული
კავშირი/; 2/. -ც (ნაწილაკი)

defter რვეული
dersane აუდიტორია
dokuz ცხრა
dört ოთხი
döşeme იატაკი
duvar კედელი
geniş ფართო, განიერი
iki ორი
ince თხელი
işte აი
kaç რამდენი
kağıt ქაღალდი
kalın სქელი
kapı კარი
kara შავი
kim ვინ
kitap წიგნი
küçük პატარა
masa მაგიდა
nasıl როგორი, როგორ
ne რა
o ის

oda ოთახი
on ათი
öğrenci მოსწავლე, სტუდენტი
öğretmen მასწავლებელი
parmak თითი
pencere ფანჯარა
sandalye სკამი
sekiz რვა
silgi ჩეხარი, დაფის საწმენდი
şu ეგ
tahta აქ: დაფა
tane ცალი
tavan ჭერი
tebeşir ცარცი
temiz სუფთა
üç სამი
ve და (კავშირი)
ya აბა, მაშ
yedi შვიდი
yuvarlak მრგვალი
yüksek მაღალი

სავარჯიშო:

1. წაიკითხეთ ტექსტი ხმამაღლა.
2. დაახასიათეთ ხმოვნები და თანხმოვნები.
3. თარგმნეთ ტექსტი ქართულად /წერილობით/.
4. დათვალეთ თურქულად ერთიდან ათამდე და ათიდან ერთამდე.
5. თარგმნეთ თურქულად: სუფთა მაგიდა. აი სუფთა მაგიდა. მაღალი სუფთა მაგიდა. დაბალი სკამი. ათი დაბალი სკამი. სუფთა სკამი. ათი დაბალი სუფთა სკამი. მაღალი ჭერი. ეს მაღალი ჭერია. შავი მაგიდა. სუფთა შავი მაგიდა. რამდენი მაგიდა? ორი მაგიდა. ერთი მაღალი და ერთი დაბალი მაგიდა. აი პატარა

ოთახი. ეს როგორი ოთახია? ეს სუფთა ოთახია. ეს ვინ არის? ეს მასწავლებელია. აბა ის ვინ არის? ის მოსწავლეა. ერთი მასწავლებელი და ცხრა მოსწავლე. აი ათი თხელი რვეული. ეს რვეული თხელია, ის რვეული სქელია. წიგნიც სქელია. რამდენი წიგნი? ხუთი სქელი წიგნი. აი ოთხი თეთრი კედელი. აი სამი განიერი ფანჯარა. ეს რა არის? ეს ცარცია. აი ერთი პატარა მრგვალი ცარცი. კედელი თეთრია, ცარციც თეთრია.

მეორე ბაკვეთილი

§1. სახელის მრავლობითი რიცხვი

მრავლობით რიცხვს აწარმოებს -lar, -ler სუფიქსები.

-lar დაერთვის სახელის ფუძის ბოლო მარცვალში მაგარი ხმოვნის შემცველ სიტყვებს, -ler დაერთვის ბოლო მარცვალში რბილი ხმოვნის შემცველ სიტყვებს:

მხოლოდობითი რიცხვი

oda
defter
kitap
duvar
temiz

მრავლობითი რიცხვი

odalar (ოთახები)
defterler (რვეულები)
kitaplar (წიგნები)
duvarlar (კედლები)
temizler (სუფთები)

§2. სახელის წარმოქმნა

-lı, -li, -lu, -lü სუფიქსები აწარმოებს ორი ჯგუფის სახელებს:

ა) ქონების სახელებს

ბ) წარმომავლობის სახელებს

ა) tuz – მარილი
güneş – მზე
akıl – ჭკუა

tuzlu – მარილიანი
güneşli – მზიანი
akıllı – ჭკვიანი

ბ) nere – სად	nereli - სადაური
bura – აქ	buralı - აქაური
ora – იქ	oralı - იქაური
köy – სოფელი	köylü - სოფლელი
Ankara – ანკარა	Ankara'lı - ანკარელი
Rize – რიზე	Rize'li - რიზელი

შენიშვნა: საკუთარი სახელის ფუძე სუფიქსისგან აპოსტროფით (') გამოიყოფა.

§3. სახელის წარმოქმნა

-sız, -sız, -suz, -süz სუფიქსებით იწარმოება უქონლობის სახელები.	
pencere – ფანჯარა	penceresiz - უფანჯრო
kulak - ყური	kulaksız - უყურო
ayak – ფეხი	ayaksız - უფეხო
tuz - მარილი	tuzsuz - უმარილო
kül - ნაცარი, ფერფლი	külsüz - უნაცრო, უფერფლო

სუფიქსების განაწილება ფუძეთა გათვალისწინებით:

ფუძის ბოლო მარცვლის ხმოვანი	სუფიქსის ხმოვანი
a, ı	a, ı
e, i	e, i
o, u	a, u
ö, ü	e, ü

ტექსტი

İşte bir ev. Sekiz katlı ev. Birkaç ev yani evler. Tüm evler çok katlı. Bu oda kaç pencere? Bu oda dört pencere. İşte dört pencere oda. Birkaç kalın kitap. Kalın kitaplar. On parmak. İşte parmaklar.

Bu parmak uzun, bu parmak ise kısa. Uzun ve kısa parmaklar. Bir büyük oda.

O adam kim? O adam öğretmen. Bunlar ise öğrenciler. Bir öğretmen ve beş öğrenci. Şu öğrenci nereli? O öğrenci buralı, bu ise - Batum'lu. İşte Batum'lu öğrenci. Bu çok çalışkan ve yetenekli öğrenci.

Bu kim? Bu bir köylü kız. Çok güzel köylü kız. Şu üç çocuklu kadın da köylü. Bu şehirli bir kadın. Çocuksuz bir kadın. İşte bir meyvesiz ağaç. Bu ağaçlar meyvesiz.

Bu ne? Bu kara tahta. Bu da bir tebeşir. Bunlar kurşunkalemler. Bu kara kurşunkalem, bu kırmızı, bu yeşil, bu ise mavi. Bu kurşunkalemler renkli. Bunlar ne? Bunlar kalemler. Dolma kalem ve tükenmez kalem. Kaç dolma kalem ve kaç tükenmez kalem? Sekiz tane tükenmez kalem ve yalnız bir tane dolma kalem. Bu sıra. Uzun sıra. Yeşil ve kara sıralar.

O ne? O yeni bir gazete. Bu dergi de yeni. Bu yeni gazete, bu yeni dergi. Bu yemek çok tuzlu, bu yemek ise tuzsuz. İşte bir tozlu sokak. O sokak çok tozlu, bu sokak ise temiz ve tozsuz.

სიტყვები:

adam კაცი, ადამიანი
ağaç ხე
bunlar ესენი
buralı აქაური
büyük დიდი
çalışkan ბეჯითი, მუყაითი
çocuk ბავშვი
çok 1. ბევრი; 2. ძალიან
dergi ჟურნალი; კრებული
dolma kalem ავტოკალამი
ev სახლი
gazete გაზეთი
güneş მზე
güzel ლამაზი

ise კი (მაპირისპირებული კავშირი)
kadın ქალი
kalem კალმისტარი
kat სართული
kırmızı წითელი
kısa მოკლე
kız გოგონა; გოგო
köy სოფელი
kurşunkalem ფანქარი
mavi ცისფერი
meyve ნაყოფი; ხილი
nereli სადაური
oralı იქაური
renk ფერი

sıra მერხი, სკამი	tüm ყველა; მთელი
sokak ქუჩა	uzun გრძელი
şehir ქალაქი	yalnız მხოლოდ, მარტო
tane ცალი	yani ესე იგი; ანუ
tembel ზარმაცი, უქნარა	yemek საჭმელი
toz მტვერი	yeni ახალი
tuz მარილი	yeşil მწვანე
tükenmez kalem ბურთულიანი	yetenek ნიჭი, უნარი
კალმისტარი, "პასტა"	

სავარჯიშო:

1. აწარმოეთ მრავლობითი რიცხვი შემდეგი სახელებიდან: köy, pencere, sokak, gazete, sıra, kulak, ev, çocuk, küçük, büyük, temiz, kız, çalışkan, renk.

2. თარგმნეთ ქართულად: uzun parmaklar, ince defter, geniş pencereli oda, şehirlî kız, uzun kulaklı, akılsız çocuk, temiz duvarlar, dört tane kırmızı kurşunkalem, renkli kurşunkalem, dokuz katlı ev, kaç öğrenci, çok güzel kız, yetenekli öğrenciler, tembel çocuk, büyük kara tahta, tozlu sokaklar, çok tuzlu yemek, mavi duvarlar, kitapsız öğrenciler, penceresiz küçük oda.

3. თარგმნეთ თურქულად: აი ერთი პატარა გოგონა. პატარა სოფლელი გოგონა. ძალიან ლამაზი ბავშვი. აი ათი თითი. ეს ოთახი ოთხფანჯრიანია, ის ოთახი კი უფანჯროა. ოთხი სუფთა თეთრი კედელი. ეს კედელი ცისფერია, ის კედელი კი - წითელი. რვა წიგნი და ათი რვეული. განიერი შავი კარი. მაღალი ჭერი. წითელი იატაკი. მწვანე მერხები. სქელი წიგნები და თხელი რვეულები. ეს თხელი რვეულებია. რამდენიმე ბეჯითი და ორი ზარმაცი სტუდენტი. ეს ანკარელი მოსწავლე ძალიან ბეჯითია. ის ბათუმელი გოგონაც ბეჯითია. აქაური მოსწავლეები როგორები არიან? ყველა მოსწავლე ნიჭიერია. მხოლოდ ერთი ხე. იქაური მასწავლებელი. ცარციანი თითები. აი ერთი გრძელი მტვრიანი ქუჩა. ეგ უმარილო საჭმელი. ის უწიგნო ბავშვი ვინ არის? იქაური მოსწავლეა. დიდი მზიანი აუდიტორია.

§4. თურქული თვლის სისტემა

თურქული თვლის სისტემა ათობითია. ყოველი ათეული იწყება წინა ათეულზე ერთეულების დართვით:

$$10+1=11 \text{ on bir}$$

$$10+2=12 \text{ on iki}$$

.....

$$20 \text{ yirmi}$$

$$20+1=21 \text{ yirmi bir}$$

.....

$$20+9=29 \text{ yirmi dokuz}$$

$$30 \text{ otuz (otuz bir, otuz iki.....otuz dokuz)}$$

$$40 \text{ kırk (.....kırk beş, ..., kırk sekiz.....)}$$

$$50 \text{ elli}$$

$$60 \text{ altmış}$$

$$70 \text{ yetmiş}$$

$$80 \text{ seksen}$$

$$90 \text{ doksan}$$

$$100 \text{ yüz (146 yüz kırk altı, 173 yüz yetmiş üç)}$$

$$200 \text{ iki yüz (210 iki yüz on, 234 iki yüz otuz dört)}$$

$$1000 \text{ bin (1900 bin dokuz yüz, 2002 iki bin iki, 7960 yedi bin dokuz yüz altmış)}$$

სავარჯიშო:

1. დაისწავლეთ ზეპირად ათეულები: 10-on, 20-yirmi, 30-otuz, 40-kırk, 50-elli, 60-altmış, 70-yetmiş, 80-seksen, 90-doksan; 100-yüz.....1000 bin

2. დაწერეთ თურქულად სიტყვიერად შემდეგი რიცხვები: 110, 77, 349, 1500, 655, 1125, 2001, 857, 1801, 99, 53, 482, 128, 1935, 1833, 25, 665.

მესამე ბაკვეთილი

§1. შემასმენლობითობის კონსტრუქცია

შემასმენლობითობის კონსტრუქცია სინტაქსურად შედგენილი შემასმენელია. მისი მაწარმოებელია შემასმენლობითი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები, რომლებიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვაში მყოფ სახელს.

შემასმენლობითი სუფიქსები თანხმოვანფუძიანი სახელებისათვის:

მხოლოდობითი რიცხვი:

I პირი: -im, -im, -um, -üm (ვარ)

II პირი: -sin, -sin, -sun, -sün (ხარ)

III პირი: მჟღერი თანხმ. შემდეგ: -dır, -dir, -dur, -dür (არის)
ყრუ თანხმ. შემდეგ: -tır, -tir, -tur, -tür (არის)

მრავლობითი რიცხვი:

I პირი: -ız, -iz, -uz, -üz (ვართ)

II პირი: -sınız, -siniz, -sunuz, -sünüz (ხართ)

III პირი: მჟღერი თანხმ. შემდეგ:
-dırlar, -dirler, -durlar, -dürler (არიან)
ყრუ თანხმ. შემდეგ:
-tırlar, -tirler, -turlar, -türler (არიან)

შენიშვნა: ყრუ ხშულ თანხმოვნებზე დაბოლოებულ მრავალმარცვლიან ფუძეებში ორივე რიცხვის პირველ პირში ფუძის ბოლოკიდურ ყრუ თანხმოვანს ჩაენაცვლება მისივე მეწყვილე მჟღერი თანხმოვანი ანუ ბოლოკიდური ყრუ ხშული თანხმოვანი ხმოვნით დაწყებული სუფიქსის წინ გამჟღერდება (p>b, k>ğ, ç>c, t>d).

შემასმენლობითი სუფიქსები უმახვილოა.

შემასმენლობითი სუფიქსები ზმოვანფუძიანი სახელებისათვის:
მხ. რიცხვი:

I პირი: -yim, -yim, -yum, -yüz (ვარ)

II პირი: -sın, -sın, -sun, -sün (ხარ)

III პირი: -dır, -dir, -dur, -dür (არის)

მრ. რიცხვი:

I პირი: -yız, -yiz, -yuz, -yüz (ვართ)

II პირი: -sınız, -sınız, -sunuz, -sünüz (ხართ)

III პირი: -dırlar, -dirler, -durlar, -dürler (არიან)

შემასმენლობითობის კონსტრუქციას აქვს ორი სახე: დადებითი და უარყოფის. ორივე სახეს აქვს კითხვითი ფორმები.

დადებითი

მხ. რიცხვი:

I პირი: öğretmenim

მასწავლებელი ვარ

babayım მამა ვარ

II პირი: öğretmensin

მასწავლებელი ხარ

babasın მამა ხარ

III პირი: öğretmendir

მასწავლებელია

babadır მამაა

მრ. რიცხვი:

I პირი: öğretmeniz

მასწავლებლები ვართ

babayız მამები

II პირი: öğretmenisiniz

მასწავლებლები ხართ

ვართ

babasınız

III პირი: öğretmenidirler

მასწავლებლები არიან

მამები ხართ

babadırlar

მამები არიან

შემასმენლობით კონსტრუქციაში უარყოფა გამოიხატება değil სიტყვით. იგი მოსდევს სახელს და დაირთავს შემასმენლობით სუფიქსებს:

უარყოფის
მხ. რიცხვი:

I öğretmen değilim	მასწავლებელი არა ვარ	baba değilim მამა არა ვარ
II öğretmen değilsin	მასწავლებელი არა ხარ	baba değilsin მამა არა ხარ
III öğretmen değildir	მასწავლებელი არ არის	baba değildir მამა არ არის

მრ. რიცხვი:

I öğretmen değiliz	მასწავლებლები არა ვართ	baba değiliz მამები არა ვართ
II öğretmen değilsiniz	მასწავლებლები არა ხართ	baba değilsiniz მამები არა ხართ
III öğretmen değildirler	მასწავლებლები არ არიან	baba değildirler მამები არ არიან

კითხვითი ფორმები იწარმოება mi, mi, mu, mü კითხვითი ნაწილაკებით. კითხვითი ნაწილაკი დაერთავს შემასმენლობით სუფიქსებს. ნაწილაკის ვარიანტი შეიარჩევა წინამავალი სიტყვის ბოლო მარცვლის ხმოვნის მიხედვით:

მხ. რიცხვი:

I öğretmen miyim?	მასწავლებელი ვარ?	baba mıyım? მამა ვარ?
II öğretmen misin?	მასწავლებელი ხარ?	baba mısın? მამა ხარ?
III öğretmen midir?	მასწავლებელია?	baba mıdır? მამაა?

მრ. რიცხვი:

I öğretmen miyiz?	მასწავლებლები ვართ?	baba mıyız? მამები ვართ?
II öğretmen misiniz?	მასწავლებლები ხართ?	baba mısınız? მამები ხართ?
III öğretmen midir?	მასწავლებლები არიან?	baba mıdırlar? მამები არიან?

უარყოფის სახის კითხვით ფორმაში კითხვითი ნაწილაკი უშუალოდ მოსდევს değil სიტყვას, ამიტომ ყოველთვის წარმოდგენილია ერთი ვარიანტით (mi-).

მხ. რიცხვი:

I öğretmen değil miyim?

მასწავლებელი არა ვარ?

II öğretmen değil misin?

მასწავლებელი არა ხარ?

III öğretmen değil midir?

მასწავლებელი არ არის?

მრ. რიცხვი:

I öğretmen değil miyiz?

მასწავლებლები არა ვართ?

II öğretmen değil misiniz?

მასწავლებლები არა ხართ?

III öğretmen değil midirler?

მასწავლებლები არ არიან?

ტექსტი

İşte bir aydınlık oda. Bu oda dersanedir. Dersane büyük ve temizdir. Bu oda nasıldır? Bu oda temiz ve aydınlıktır. Dersane temiz midir? Evet, dersane çok temizdir. Şu anda pencereler açıktır.

Bu adam kimdir? Bu adam öğretmendir. Öğretmen gençtir. O yaşlı adam da öğretmen midir? Evet, o da öğretmendir. Nerelidir? Buralı mıdır? Hayır, buralı değildir, Edirne'lidir. Sen kimsin? Ben öğrenciyim, buralıyım.

Siz kimsiniz? Doktor musunuz? Hayır, doktor değilim, mühendisim. Bu genç adam da mühendis midir? Evet, şu da mühendistir. Bu kızlar kimdirler? Bunlar öğrencidirler. Sarışın kız biraz tembeldir, esmer kız ise çok çalışkandır.

Siz müdür müsünüz. Hayır, ben müdür değilim, katibim. Ya müdür kimdir? Müdür o uzun boylu adamdır. O adam müdür müdür? Evet, müdürdür. Ama çok genç değil midir? Evet, gençtir.

Sen Türk müsün? Hayır, ben Türk değilim. Ben Gürcüyüm, Ali Türktür, Andrey Rustur, Natali Fransızdır, Zaven Ermenidir.

Ben çalışkan öğrenciyim. Hasan da çalışkandır. Biz çalışkan öğrenciyiz. Siz tembel misiniz? Hayır, biz tembel değiliz, çalışkanız. Bu kapı geniş midir yoksa dar mıdır? Kapı dardır. Pencereler açık mıdır? Bir pencere açıktır, diğer pencere kapalıdır. Kitaplar açık mıdır yoksa kapalı mıdır? Tüm kitaplar açıktır. Oda aydınlık mıdır? Karanlık mıdır? Bu oda aydınlıktır, çünkü dört penceresidir, o oda ise biraz karanlıktır, çünkü iki penceresidir ve çok büyüktür.

Bu gazeteler yeni midir? Evet, bugünkü gazetelerdir. Bu ne kalın gazetedir, kaç sayfalı acaba? Bu gazete otuz iki sayfalıdır. Bazı gazete on altı sayfalıdır, bazı gazete ise daha incedir, az sayfalıdır.

Köy yakın mıdır? Evet, çok yakındır. Hayır, köy çok uzaktır. Yakın köy küçük ve güzeldir. Bağlı, bahçeli bir yerdir. Uzak köy daha güzel midir yoksa yakın köy? Yakın köy daha güzeldir.

სიტყვები:

acaba ნეტავ, ნეტავი	diğer სხვა, მეორე
açık ღია, გახსნილი	doktor ექიმი
ama მაგრამ	Ermeni სომეხი
aydınlık ნათელი	esmer შავგვრემანი
az ცოტა, მცირე	evet დიახ, კი
bağ ვენახი	Fransız ფრანგი
bahçe ბაღი	fakat მაგრამ
bazı ზოგი, ზოგიერთი	hayır არა
ben მე	İstanbul სტამბოლი
biraz ცოტა, ოდნავ	kapalı დახურული; დაკეტილი
biz ჩვენ	karanlık ბნელი
bugünkü დღევანდელი	katip მდივანი; საქმის მწარმოებელი
çünkü იმიტომ რომ, ვინაიდან	müdür უფროსი, დირექტორი, გამგე
genç ახალგაზრდა	mühendis ინჟინერი
Gürcü ქართველი	onlar ისინი
dar ვიწრო	Rus რუსი
değil არ, არა	sarışın ქერა

sayfa გვერდი (წიგნის,
რვეულის, გაზეთის)
sen შენ
siz თქვენ
şu anda ახლა, ამჟამად
Türk თურქი

uzak შორს, შორი
uzun boylu ტანმაღალი
veya ან, თუ
yakın ახლო, ახლოს
yer ადგილი
yoksa თუ

მეოთხე გაკვეთილი

§1. სახელის ბრუნვა

თურქულ ენაში ექვსი ბრუნვაა: სახელობითი (განუსაზღვრელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი, ადგილობითი და დაწყებითი. სახელობითი ბრუნვა უნიშნოა. ეს არის სახელის ფუძე. დანარჩენ ბრუნვებს თავ-თავისი მაწარმოებელი სუფიქსი აქვს.

თანხმოვანფუძიანი სახელებისათვის:

სახელობითი	-	მაწარმოებელი არა აქვს
ნათესაობითი		-ın, -in, -un, -ün
მიცემითი		-a, -e
ბრალდებითი		-ı, -i, -u, -ü
ადგილობითი	მჟღერი თანხმ.	შემდეგ -da, -de
	ყრუ თანხმ.	შემდეგ -ta, -te
დაწყებითი	მჟღერი თანხმ.	შემდეგ -dan, -den
	ყრუ თანხმ.	შემდეგ -tan, -ten

ხმოვანფუძიანი სახელებისთვის:

სახელობითი	-	მაწარმოებელი არა აქვს
ნათესაობითი		-nın, -nin, -nun, -nün
მიცემითი		-ya, -ye
ბრალდებითი		-yı, -yi, -yu, -yü

ადგილობითი
დაწყებითი

-da, -de
-dan, -den

- შენიშვნა: 1. ნათესაობით, მიცემით და ბრალდებით ბრუნვებში მრავალმარცვლიან ფუძეებში ბოლოკიდურ ყრუ ხშულ თანხმოვანს ჩაენაცვლება შესატყვისი მჟღერი თანხმოვანი. ამავე წესს ემორჩილება რამდენიმე ერთმარცვლიანი ყრუ ხშულთანხმოვნაანი ფუძე: *gök-ცა, tat-გემო, dört-ოთხი, uç-წვეტი, kap-ჭურჭელი, cep-ჯიბე, dip-ფსკერი, ძირი, borç-ვალი და -nk-ზე დაბოლოებული სიტყვები: renk (rengi) -ფერი, cenk-ჯანყი, denk-ტოლი, სწორი, თანაბარი, ცალი.*
2. ბრუნვათა მწარმოებელი სუფიქსები მახვილიანია.

თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვა:

სახელობითი	duvar	kitap	çocuk	ağaç	ev
ნათესაობითი	duvarın	kitabın	çocuğun	ağacın	evin
მიცემითი	duvara	kitaba	çocuğa	ağaca	eve
ბრალდებითი	duvarı	kitabı	çocuğu	ağacı	evi
ადგილობითი	duvarda	kitapta	çocukta	ağaçta	evde
დაწყებითი	duvardan	kitaptan	çocuktan	ağaçtan	evden

ხმოვანფუძიანი სახელების ბრუნვა:

სახელობითი	masa	döşeme	köylü	depo
ნათესაობითი	masanın	döşemenin	köylünün	deponun
მიცემითი	masaya	döşemeye	köylüye	depoya
ბრალდებითი	masayı	döşemeyi	köylüyü	depoyu
ადგილობითი	masada	döşemede	köylüde	depoda
დაწყებითი	masadan	döşemedən	köylüden	depodan

თანხმოვანფუძიან სახელთაგან თავისებურად იბრუნვის ნაცვალსახელები: *ben, sen, biz*; ხმოვანფუძიან სახელთაგან - ნაცვალსახელი *ne* და არსებითი სახელი *su*-წყალი.

სახელობითი	ben	sen	biz	ne	su
ნათესაობითი	benim	senin	bizim	neyin	suyun
მიცემითი	bana	sana	bize	neye	suya
ბრალდებითი	beni	seni	bizi	neyi	suyu
აღვილობითი	bende	sende	bizde	nede	suda
დაწვევებითი	benden	senden	bizden	neden	sudan

შენიშვნა: როგორც ხედავთ, თავისებურება აღინიშნება მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში.

დიალოგი

- Merhaba!
- Merhaba!
- Siz buralı mısınız?
- Hayır, buralı değilim, Türkiye'liyim.
- Türk müsünüz?
- Hayır, Türk değilim, Gürcüyüm, ama Türkiye'denim.
- Çoktan mı Gürcistan'dasınız?
- Birkaç aydır.
- Hangi şehirdensiniz, İstanbul'dan mı?
- Hayır, İstanbul'dan değilim, Samsun'danım. Siz yerli mısınız?
- Hayır, ben de yerli değilim, Gürcistan'lı Gürcüyüm ama Tiflis'li değilim,
Gurcaanlı'yım.
- Gurcaan bir şehir midir?
- Evet, Doğu Gürcistan'da bir şehirdir.
- Peki, siz şimdi dersanedesiniz, ama öteki öğrenciler nerede?
- Onlar şimdi avludadırlar, çünkü daha erkendir. Hem de hava çok güzel!
- Haklısınız, gerçekten bugün hava çok güzeldir.

სიტყვები:

avlu ეზო	hangi რომელი
ay თვე	hava ამინდი
bugün დღეს	hem de თანაც
çoktan დიდი ხანია	merhaba გამარჯობა
daha ჯერ	öteki სხვა
doğru აღმოსავლეთი	peki ძალიან კარგი, კეთილი
erken ადრე	şimdi ახლა, ამჟამად
gerçekten მართლა	yerli ადგილობრივი
haklı მართალი, სწორი	

§2. პრედიკატული სიტყვები var, yok

ა) ეს სიტყვები ახლავს სახელობით ბრუნვაში მყოფ განუსაზღვრელ სახელს და მის არსებობა-არარსებობას გამოხატავს. მაგალითად: Boş yerler var mı? - თავისუფალი ადგილები არის? Hayır, boş yerler yok - არა, თავისუფალი ადგილები არ არის.

ბ) ეს სიტყვები ახლავს ადგილობით ბრუნვაში მყოფ სახელს და მის ადგილმდებარეობას გამოხატავს. მაგალითად: Sokakta araba var - ქუჩაში მანქანა არის. Sokakta araba yok - ქუჩაში მანქანა არ არის.

ტექსტი

Bu bir masa. Masa kara renktedir. Tahta da karadır. Tahtada bir tane küçük tebeşir var. Tebeşir beyazdır. Duvarlar da beyazdır. İşte bir siyah çanta. Çantada birkaç kitap, defter ve tükenmez kalem var. Çantada daha neler var? Daha iki tane kırmızı kurşunkalem ve bir lastik var. Çantada cetvel yok mu? Cetvel yok.

Masada çok güzel çiçekler var. Onlar vazoda. Bu kırmızı gül, bu ise beyaz güldür. Şu mor çiçek menekşedir. Çok güzel, değil mi? Bu küçük ağaç cüce çamdır. Yaz kış yeşildir. Gerçekten mi? Olağanüstü güzeldir.

Bu oda dersanedir. Odada birçok sıra, bir masa, iki sandalye var. Sıralar koyu yeşildir, masa karadır, sandalyeler sarı renktedir. Odada askı yok. Duvarlarda birkaç resim var.

სიტყვები:

araba მანქანა	lâstik საშლელი
askı ტანსაცმლის საკიდი	menekşe ია
cetvel სახაზავი	mor ლურჯი, იისფერი
cüce ჯუჯა	olağanüstü არაჩვეულებრივი,
çam ფიჭვი	არაჩვეულებრივად
çiçek ყვავილი	resim სურათი
daha კიდევ	sarı ყვითელი
gül ვარდი	var არის
kış ზამთარი	yaz ზაფხული
koyu მუქი	yok არ არის

სავარჯიშო:

1. თარგმნეთ თურქულად წერილობით: ჰასანი ქართველია, მაგრამ თურქეთიდან არის. გივი გურჯაანელია. მოსწავლეები ეზოში არიან, იმიტომ რომ ჯერ აღრეა, თანაც ძალიან კარგი ამინდია. ლარნაკში ლამაზი ყვავილები არის. ია ლურჯი ყვავილია. ეს ვარდი წითელია, ის ვარდი კი თეთრია. კედლები რა ფერისაა? კედლები ცისფერია. ცაც ცისფერია. ჯუჯა ხე სად არის? მაგიდაზეა. ამ ოთახში ტანსაცმლის საკიდი არ არის. დაფაზე ცარცი და ჩვარი არ არის. ჩანთაში მწვანე რვეულები არ არის, მხოლოდ ვარდისფერი რვეულები არის. კედელზე რამდენი სურათია? კედელზე სამი სურათია.

2. აბრუნეთ შემდეგი სახელები: çiçek, çanta, gül, askı, Gürcü, kâtip, sıra, çam, yeşil, pembe, dört

3. გადააკეთეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები უარყოფით და კითხვით წინადადებებად: Ben buralıyım. Siz Samsun'lusunuz. Masa karadır. Tahtada bir tebeşir var. Menekşe mor çiçektir. Bu oda dersanedir. Duvarlarda resimler var. Çok erkendir. Bugün hava güzeldir. Cüce çam yaz, kış yeşildir. Sokakta bir araba var. Şu

kurşunkalem mavidir. Yeşil defter incedir. Dersanede iki tane sandalye var. Sandalyeler sarı renktedir. Ak güzel renktir.

ტექსტი

Yılda dört mevsim vardır. Onlar şunlardır: ilkyaz (ilkbahar), yaz, güz (sonbahar), kış.

Bir mevsimde üç ay var. Bir ayda dört hafta var. Bir haftada yedi gün var: pazartesi, salı, çarşamba, perşembe, cuma, cumartesi, pazar.

Bir yıl on iki aydır. Onlar şunlardır: ocak, şubat, mart, nisan, mayıs, haziran, temmuz, ağustos, eylül, ekim, kasım, aralık.

Bir ayda otuz veya otuz bir gün vardır. Şubatta yirmi sekiz veya yirmi dokuz gün var. Artık yıllarda şubatta yirmi dokuz gün var.

Günde yirmi dört saat var. Bir saat altmış dakikadır. Bir dakikada altmış saniye var.

Bir yılda üç yüz altmış beş veya üç yüz altmış altı gün var. Artık yıllarda üç yüz altmış altı gün var.

სიტყვები:

ağustos აგვისტო	ilkbahar გაზაფხული
aralık დეკემბერი	ilkyaz გაზაფხული
artık yıl ნაკიანი წელიწადი	kasım ნოემბერი
birşey რამე (დადებით წინ.-ში); არაფერი (უარყოფით წინ.-ში)	mart მარტი
burada აქ	mayıs მაისი
cuma პარასკევი	mevsim წელიწადის დრო, სეზონი
cumartesi შაბათი	nerede სად
çarşamba ოთხშაბათი	nisan აპრილი
dakika წუთი	ocak იანვარი
ekim ოქტომბერი	pazar კვირა დღე
eylül სექტემბერი	pazartesi ორშაბათი
gün დღე, დღე-ღამე	pembe ვარდისფერი
hafta კვირეული (შვიდი დღე)	perşembe ხუთშაბათი
haziran ივნისი	saat საათი

salı სამშაბათი
saniye წამი
sonbahar შემოდგომა
şubat თებერვალი

şunlardır ესენია; შემდეგია
temmuz ივლისი
vazo ლარნაკი
yıl წელიწადი

სავარჯიშო: უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. Haftada kaç gün var?
2. Bir yılda kaç gün var?
3. Bir saat kaç dakikadır?
4. Şubatta kaç gün var?
5. Ocakta kaç gün var?
6. Yılda kaç mevsim var?
7. Mart mı daha uzun, yoksa nisan mı?
8. Bir mevsimde kaç ay var?
9. Bir dakika kaç saniyedir?
10. Artık yıllarda şubatta kaç gün vardır?

§ 3. რიცხვითი სახელის ჯგუფები

თურქულ ენაში რიცხვითი სახელები ოთხ ჯგუფად იყოფა. ეს ჯგუფებია: რაოდენობითი რიცხვითი სახელი, რიგობითი რიცხვითი სახელი, განყოფითი რიცხვითი სახელი და წილობითი რიცხვითი სახელი.

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელი საგნის რაოდენობას გამოხატავს. იგი უნიშნოა, მაწარმოებელი არა აქვს. რაოდენობითი რიცხვითი სახელებია: sıfır, bir... dokuz, yüz, bin, iki yüz seksen, milyon... მისი კითხვაა kaç (რამდენი).

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რიგს, იწარმოება შემდეგი სუფიქსებით:

- თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეებისთვის:

-inci, -inci, -uncu, -üncü

ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეებისთვის:

-ncı, -nci, -ncu, -ncü

bir - biriinci; iki - ikinci; dört - dördüncü; beş - beşinci;

altı - altıncı; yedi - yedinci; dokuz - dokuzuncu; on - onuncu.

რიგობითი რიცხვითი სახელის კითხვაა kaçınıcı (მერამდენე, რიგით რომელი).

გ) განყოფითი რიცხვითი სახელი მთელი რიცხვის ტოლ ნაწილებად დაყოფილ რიცხვს გამოხატავს. იწარმოება რაოდენობითისაგან შემდეგი სუფიქსებით:

- თანხმოდანფუძიანთათვის: -ar, -er

- ხმოდანფუძიანთათვის: -şar, -şer

bir-birer (თითო-თითო), iki-ikişer (ორ-ორი), üç-üçer (სამ-სამი), on-onar (ათ-ათი), dokuz - dokuzar (ცხრა-ცხრა) yüz - yüzer (ას-ასი)

განყოფით რიცხვით სახელს დაესმის კითხვა kaçar (რამდენ-რამდენი).

დ) წილობითი რიცხვითი სახელი მთელის ნაწილს ანუ წილადს გამოხატავს. წარმოების წესი ასეთია: რაოდენობითი რიცხვითი სახელით გამოხატული მნიშვნელი ადგილობით ბრუნვაშია და წინ უსწრებს რაოდენობითი რიცხვითი სახელით გამოხატულ, სახელობით ბრუნვაში მყოფ მრიცხველს.

1/10 - onda bir

7/9 - dokuzda yedi

3/100 - yüzde üç ანუ 3%

25/100 - yüzde yirmi beş ანუ 25%

ათწილადები:

1,5 - bir tam, onda beş - ერთი მთელი, ხუთი მეათედი

0,07 - sıfır tam, yüzde yedi

8,46 - sekiz tam, yüzde kırk altı

2,112 - iki tam, binde yüz on iki

შენიშვნა: 1. პროცენტის ნიშანი % (ანუ სიტყვიერად yüzde) თურქულ ენაში წინ უსწრებს რიცხვით სახელს: 10% - %10 (yüzde on)

100% - %100 (yüzde yüz)

2. რიგობითი რიცხვითი სახელი გრაფიკულად გამოიხატება ან რომაული ციფრებით: I, II, V, X, XX.... ან არაბული ციფრით, რომელსაც მარჯვენა ქვედა კუთხეში უზის წერტილი: 7., 12., 100., 33. და ა.შ.

- Asansör kaçınıcı katta?
- Şimdi beşinci kattadır.
- Biz kaçınıcı kattayız?
- Biz ikinci kattayız.
- Yukarıda üçüncü kat var, aşağıda da birinci kat. Dersimiz birinci katta. Bazı öğrenci birinci katta. Öteki öğrenciler şimdi dördüncü katta, çünkü orada zengin bir kitaplık var.
- Bu binada kulüp yok mu?
- Nasıl yok, var.
- Kulüp altıncı kattadır.
- O, altıncı kat uzaktır...
- Asansör var, ya! Bu yapı on altı katlıdır.
- On altıncı katta ne var?
- On altıncı katta gözlemevi ve kuytu bir kahve var.
- Yemekhane kaçınıcı katta?
- Birinci kattadır. Yemekhanede her zaman tatlı ve çeşit-çeşit yemekler var.

სიტყვები:

asansör ლიფტი

aşağı ქვევით, ქვემოთ

bina შენობა

çeşit სახეობა, ნაირსახეობა

çeşit-çeşit ნაირ-ნაირი, ნაირგვარი

gözlemevi ობსერვატორია

her zaman ყოველთვის, ყოველ დროს

kahve კაფე

kitaplık ბიბლიოთეკა

kulüp კლუბი

kuytu მყუდრო

tat გემო

yapı შენობა, ნაგებობა

yemekhane სასადილო

yukarı ზევით, ზემოთ

zaman დრო

zengin მდიდარი

სავარჯიშო:

1. დაწერეთ თურქულად სიტყვიერად: 2, 84, 109, 1791; მე-17, მე-11, 38-ე, 96-ე, 121-ე 5/10, 7/8, 3/4, 2/9, 8/1000; 5%, 1%; 19-19, 25-25, 10-10.

2. თარგმნეთ თურქულად: დღეს ძალიან კარგი ამინდია. სტუდენტები ეზოში არიან. მესამე აუდიტორიაში ამჟამად გაკვეთილია. ობსერვატორია რომელ სართულზეა? ლიფტი სად არის? ლიფტი პირველ სართულზეა. ახლა სასადილოში ძალიან გემრიელი საჭმელებია? დიას, იქ ყოველთვის ნაირ-ნაირი საჭმელებია. კაფე სად არის? კაფე მეთექვსმეტე სართულზეა. ის ძალიან მყუდროა. ოთხ-ოთხი ფანქარი, შვიდ-შვიდი მერხი, ათ-ათი წიგნი. ამ ოთახებში ოც-ოცი მოსწავლეა. ყოველთვის ხუთ-ხუთი მოსწავლე ვართ. კედლებზე თითო-თითო ფანჯარაა.

მეს უთე გაკვეთილი

§1. კუთვნილების გამოხატვა თურქულ ენაში

თურქულ ენაში კუთვნილება შეიძლება გამოიხატოს პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით (benim-ჩემი, benim-შენი, onun-მისი, bizim-ჩვენი, sizin-თქვენი, onların-მათი), მაგრამ ამასთანავე ენას აქვს მორფოლოგიური საშუალებაც - კუთვნილების ნაცვალსახელოვანი სუფიქსები, რომლებიც დაერთვის სახელის ფუძეს და გამოხატავს განუყოფელ კუთვნილებას.

კუთვნილებითი სუფიქსები
ზმოვანფუძიანი სახელებისთვის:

მხ. რიცხვი

I -m

II -n

III -sı, -si, -su, -sü

ჩემი

შენი

მისი

მრ. რიცხვი

-mız, -miz, -muz, -müz

-nız, -niz, -nuz, -nüz

-ları, -leri

ჩვენი

თქვენი

მათი

თანხმონიანფუძიანი სახელებისთვის:

მხ. რიცხვი		მრ. რიცხვი	
I -im, -im, -um, -üm	ჩემი	-ımız, -imiz, -umuz, -ümüz	ჩვენი
II -in, -in, -un, -ün	შენი	-ınız, -iniz, -unuz, -ünüz	თქვენი
III -ı, -i, -u, -ü	მისი	-ları, -leri	მათი

	მხ. რიცხვი	
I evim ჩემი სახლი	odam ჩემი ოთახი	bavulum ჩემი ჩემოდანი
II evin შენი სახლი	odan შენი ოთახი	bavulun შენი ჩემოდანი
III evi მისი სახლი	odası მისი ოთახი	bavulu მისი ჩემოდანი

	მრ. რიცხვი	
I evimiz ჩვენი სახლი	odamız ჩვენი ოთახი	bavulumuz ჩვენი ჩემოდანი
II eviniz თქვენი სახლი	odanız თქვენი ოთახი	bavulunuz თქვენი ჩემოდანი
III evleri მათი სახლი	odaları მათი ოთახი	bavulları მათი ჩემოდანი
მისი სახლები,	მისი ოთახები	მისი ჩემოდნები
მათი სახლები	მათი ოთახები	მათი ჩემოდნები

§2. ქონა-ყოლის (უქონლობა-უყოლობის) გამოსატყვა

კუთვნილებითსუფიქსიანი სახელი var და yok სიტყვების თანხლებით გამოხატავს ქონა-ყოლას (var-თან) და უქონლობა-უყოლობას (yok-თან).

	მხ. რიცხვი
defterim var (yok)	- რვეული მაქვს (არა მაქვს)
defterin var (yok)	- რვეული გაქვს (არა გაქვს)
defteri var (yok)	- რვეული აქვს (არა აქვს)

	მრ. რიცხვი
defterimiz var (yok)	- რვეული გვაქვს (არა გვაქვს)
defteriniz var (yok)	- რვეული გაქვთ (არა გაქვთ)

defterleri var (yok)

- რვეული აქვთ (არა აქვთ)

რვეულები აქვს (არა აქვს)

რვეულები აქვთ (არა აქვთ)

ტექსტი

Sınıfımız geniş, aydınlık ve temizdir. Duvarları ak, tabanı sarı, kapısı karadır. Pencereleleri beyaz perdelidir. Şimdi pencereleleri açıktır, çünkü hava ılıktır. Fakültemiz yedi katlı bir yapıdadır. Sınıfımız birinci katta. Avluya yakınız. Avlumuz ağaçlı, çiçekli bir yerdir. Sınıfımızda beş kişiyiz. Hepimiz çalışkanız, tembelimiz yok. Öğretmenlerimiz bizden çok memnundurlar. Notlarımız her zaman tamdır. Ana-babalarımız da memnundurlar.

Yapımızda iyi bir kitaplık var. Küçük kahvemiz de var, fakat katımızda içecek su yok. İçecek su yalnız avluda. İyi ki birinci kattayız ve avlu yakındır.

დიალოგი

- Affedersiniz, bu çocuk sizin midir?
- Hayır, benim değil, arkadaşımıdır.
- Bunun mu?
- Evet, efendim, bunundur.
- Şu beyaz tüylü köpek de arkadaşınızın mıdır?
- Hayır, köpek benimdir.
- Ne güzel kuyruğu var! Kaç yaşındadır?
- Bir yaşındadır. Bana amcamdan yadigârdır.
- Çok güzel yadigâr!

დიალოგი

- Günde kaç dersiniz var?
- Günde beş dersimiz var.
- Her gün beşer dersiniz mi var?
- Bazen dört, bazen beş dersimiz var?
- Bugün kaç dersiniz var?

- Bugün cumartesi, dört dersimiz var.
- Şimdi kaçınıcı dersteyiz?
- Şimdi üçüncü dersteyiz, daha bir ders var.
- Okutmanlarınız iyi insanlar mı?
- Tüm okutmanlarımız iyi insanlardır.
- Masada bir gözlük var, öğretmenin midir?
- Hayır, gözlük benimdir.

სიტყვები და გამოთქმები:

affedersiniz ბოდიში,	kişi ადამიანი; სული
უკაცრავად, მაპატიეთ	(რაოდენობის გაგებით)
amca ბიძა (მამის ძმა)	köpek ძაღლი
ana-baba დედ-მამა, მშობლები	kuyruk კუდი
arkadaş ამხანაგი	memnun კმაყოფილი, მაღლიერი
avlu ეზო	not ნიშანი, შეფასება
bazen ხან, ზოგჯერ	okutman მასწავლებელი
bunun ამისი	(უმაღლესი სასწავლებლის)
efendim ჩემო ბატონო	perde ფარდა
fakülte ფაკულტეტი	sınıf 1/კლასი, აუდიტორია;
gözlük სათვალე	2/კურსი
hepimiz ჩვენ ყველანი	su წყალი
ılık თბილი	taban იატაკი
içecek სასმელი, დასალევი	tam სრული, აბსოლუტური
insan ადამიანი	tam not უმაღლესი შეფასება
iyi კარგი	tüy ბეწვი
kaç yaşında რამდენი წლის	yadigâr სახსოვარი, საჩუქარი
ki რომ (კავშირი)	yer ადგილი

სავარჯიშო:

1. დაურთეთ კუთვნილებითი სუფიქსები შემდეგ სიტყვებს: amca, köpek, avlu, ders, çocuk, kat, kitap, cep, borç.
2. შეავსეთ წერტილებით აღნიშნული ადგილები:
Biz şimdi kaçınıcı derste...? Kitaplık beşinci kat... mıdır? Benim bir amca... var. Sizin kaç kitab... var? Bu yapıda asansör ... mu? Şimdi

sinifta öğretmen... mı? Bizim okutmanlar ... iyi insanlardır. Sizin her gün beş ders... mi var? Hayır, her gün beş dersimiz yok, bazen dört ders... vardır. Bu benim köpek ...dir.

3. თარგმნეთ თურქულად წერილობით: ახალგაზრდა დედ-მამა მყავს. ჯუჯა ფიჭვები გვაქვს. ჯუჯა ხეები გაქვთ? არა, არა მაქვს. ჩვენი სახლი კარგ ადგილზეა. სართულზე სასმელი წყალი არ არის. ეზოში ერთი პატარა კაფეა. ის კაფე ჩვენი არ არის. ჩვენი აუდიტორია მესამე სართულზეა. თქვენი აუდიტორია სად არის? ჩვენ აუდიტორია არა გვაქვს. ხან მე-4 ოთახში ვართ, ხან მე-7 ოთახში. ეს პატარა გოგონა შენი შვილია? დიახ, ეს გოგონა ჩემი შვილია. ძალიან ლამაზი ბავშვია. ის ქერა ქალი დედაშენია? დიახ, ქერა ქალი დედაჩემია, ის შავგრემანი კაცი კი მამაჩემია. დედაჩემი მასწავლებელია, მამაჩემი ინჟინერია. შენ რომელ ფაკულტეტზე ხარ? მე ამ ფაკულტეტზე ვარ.

§3. სახელის წარმოქმნა (-lık და -ci სუფიქსები)

I. -lık, -lik, -luk, -lük სუფიქსები ერთვის სახელის ფუძეს და აწარმოებს სხვადასხვა შინაარსის სახელებს:

1) აბსტრაქტულ სახელებს:

güzel – ლამაზი

güzellik - სილამაზე

derin – ღრმა

derinlik - სიღრმე

kahraman – გმირი

kahramanlık - გმირობა

iyi -კარგი, კეთილი

iyilik - სიკეთე

2) დანიშნულების სახელებს:

tuz - მარილი

tuzluk - სამარილე

elbise – კაბა

elbiselik - საკაბე

tavuk – ქათამი

tavukluk - საქათმე

yağmur – წვიმა

yağmurluk - საწვიმარი

göz – თვალი

gözlük - სათვალე

3) ერთნაირ საგანთა თავმოყრის ადგილს:

çam - ფიჭვი

çamlık - ფიჭვნარი

taş - ქვა

taşlık - რიყე

kum - ქვიშა

kumluk - ქვიშნარი

meşe - მუხა

meşelik - მუხნარი

შენიშვნა: *-luk* სუფიქსი კვაქვს ალბანეთის სახელმწიფოს სახელწოდებაშიც:

Arnavut - ალბანელი; *Arnavutluk* - ალბანეთი

დავალება: აწარმოეთ შემდეგი შინაარსის სახელები მოცემული სიტყვებიდან:

ა) დანიშნულების სახელები:

kostüm - კოსტუმი

kül - ფერფლი

güvercin - მტრელი

bey - ბეგი, მთავარი

yorgan საბანი

kira - ქირა

ბ) ერთნაირ საგანთა თავმოყრის ადგილი:

çalı - ბუჩქი

çiçek - ყვავილი

dağ - მთა

diken - ეკალი

söz - სიტყვა

ağaç - ხე

გ) აბსტრაქტული სახელები:

genç - ახალგაზრდა

kör - ბრმა

bol - უხვი

yoksul - ღარიბი

zengin - მდიდარი

ağır - მძიმე

II. -cı, -ci, -cu, -cü მჟღერთანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელებისათვის

-cı, -ci, -cu, -cü ყრუთანხმოვანფუძიანი სახელებისათვის.

აღნიშნული სუფიქსებით იწარმოება ხელობის და მოსაქმეობის გამომხატველი სახელები:

ekmek - პური → ekmeççi - მეპურე; პურის გამყიდველი

araba – ურემი →	arabacı - მეურმე
kömür – ნახშირი →	kömürcü - მენახშირე
saat – საათი →	saatçi - მესაათე
kayık – ნავი →	kayıkçı - მენავე
değirmen – წისქვილი →	değirmenci - მეწისქვილე
yalan – ტყუილი →	yalancı - მატყუარა
yol – გზა →	yolcu - მგზავრი
top – ქვემეხი →	topçu - არტილერიისტი
tank – ტანკი →	tankçı - ტანკისტი
diş – კბილი →	dişçi - კბილის ექიმი, დანტისტი
aş – კერძი →	aşçı - მზარეული

დავალება: აწარმოეთ ხელობის სახელები შემდეგი სიტყვებიდან:

kürk ბეწვეული; ქურქი	balık თევზი
kitap წიგნი	şarap ღვინო
demir რკინა	savaş ომი, ბრძოლა
deniz ზღვა	güreş ჭიდაობა
uçak თვითმფრინავი	

§4. ზედსართავი სახელის ხარისხები

ვითარებით ზედსართავს სამი ხარისხი აქვს: დადებითი, ოდნობითი, აღმატებითი. დადებით ხარისხს მაწარმოებელი ნიშანი არა აქვს. ოდნობითი და აღმატებითი იწარმოება დადებითი ზედსართავის ფუძიდან სუფიქსაციით და სხვა საშუალებებით.

I. დადებითია: büyük, küçük, geniş, güzel, tatlı, acı (მწარე), ekşi (მჟავე), ak, kara, beyaz, siyah, sarı და სხვ.

II. ოდნობითი ხარისხის მაწარმოებელი სუფიქსებია: 1) მხოლოდ ფერის და გემოს აღმნიშვნელი სახელებისათვის:

-msı, -msi; -mtırak, -mtirak - ხმოვნის შემდეგ;

-ımsı, -ımsi; -ımtırak, -ımtirak - თანხმოვნის შემდეგ;

2) ფერის და გემოს აღმნიშვნელი და ყველა დანარჩენი ზედსართავებისათვის: -ca, -ce, -ça, -çe

büyük - büyükçe მოდილო, მოზრდილი

küçük - küçükçe მომცრო

geniş - genişçe ოდნავ ფართო, ოდნავ განიერი

güzel - güzelce მოლამაზო, ლამაზ-ლამაზი

tatlı - tatlımsı, tatlımtırak, tatlıca მოტკბო

acı - acımsı, acımtırak, acıca მომწარო

ekşi- ekşimsi, ekşimtırak, ekşice მომჟავო

ak - akça მოთეთრო

beyaz - beyazca მოთეთრო

kara - karaca მოშავო

siyah - siyahça მოშავო

sarı - sarımsı, sarımtırak მოყვითალო და ა.შ.

III. აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლებია:

ა) თავსართი en ნებისმიერ ვითარებით ზედსართავთან:

en büyük - უდიდესი en güzel - ულამაზესი

en küçük - უმცირესი en ak - უთეთრესი

ბ) ნაწილობრივი რედუქლიკაცია: ზედსართავის პირველი მარცვალი + ჩასართი თანხმოვანი ამ ოთხი თანხმოვნიდან: m, p, s, r და + სრული ზედსართავი.

kara - kapkara უშავესი

siyah - simsiyah უშავესი

ak - apak უთეთრესი

beyaz - bembeyaz უთეთრესი

dolu (სავსე) - dosdolu, dopdolu უსავსესი, პირით პირამდე სავსე

bütün (მთელი) - büsbütün მთლიანად, თავიდან ბოლომდე

doğru (სწორი) - dosdoğru უსწორესი

mor - mosmor ულურჯესი

temiz - tertemiz უსუფთავესი

çıplak (შიშველი) - çırpıplak უშიშველესი და ა.შ.

შენიშვნა: ჩასართი თანხმოვნების შერჩევის კანონზომიერება დადგენილი არ არის.

ყველა ზედსართავი ყველა ხარისხს ვერ იწარმოებს.

§1. თურქული იზაფეთი

თურქული იზაფეთი ატრიბუტული მსაზღვრელის კონსტრუქციაა, რომელშიც ორივე წევრი - მსაზღვრელიც და საზღვრულიც არსებითი ან გაარსებითებული სახელია. თურქული იზაფეთი სამ სახეობად იყოფა: პირველ, მეორე და მესამე იზაფეთად. სამივე იზაფეთში მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს.

პირველი იზაფეთი უნიშნოა. მსაზღვრელიც და საზღვრულიც ფუძის სახით არის წარმოდგენილი. მსაზღვრელი ნივთიერების აღმნიშვნელი არსებითი სახელია.

taş merdiven ქვის კიბე
altın saat ოქროს საათი
gümüş bilezik ვერცხლის სამაჯური
tahta ev ხის სახლი, ფიცრული სახლი
demir kapı რკინის კარი
mermer heykel მარმარილოს ქანდაკება

მეორე იზაფეთი ერთნიშნანია. მსაზღვრელი უნიშნოა. იგი ფუძის სახით არის წარმოდგენილი. საზღვრული ირთავს მესამე პირის კუთვნილებით სუფიქსს. იზაფეთი გადმოსცემს სხვადასხვა შინაარსს:

ა) დანიშნულებას, განკუთვნილებას:
okul defteri სასკოლო რვეული
çay kaşığı ჩაის კოვზი
iş günü სამუშაო დღე
tatil günü დასვენების დღე
kahve fincanı ყავის ფინჯანი
bağımsızlık savaşı დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა
erkek şapkası მამაკაცის ქუდი
pazar eğlencesi საკვირაო გასართობი

ბ) გეოგრაფიული ცნების აღმნიშვნელ საკუთარ სახელებს, სახელმწიფო დაწესებულებების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის

სახელწოდებას, წიგნის ან ცალკეული ნაშრომის სათაურს, მრავალ ერთნაირ საგანთაგან ერთ გარკვეულს და სხვ.

Ankara kenti ქალაქი ანკარა

Kura akarsuyu მდინარე მტკვარი

Ararat dađı არარატის მთა

Kafkas dađları კავკასიის მთები

Van gölü ვანის ტბა

"Cumhuriyet" gazetesi გაზეთი "ჯუმჰურიეთი"

"Data Tutaşhia" romanı რომანი "დათა თუთაშხია"

elma ağacı ვაშლის ხე

devlet üniversitesi სახელმწიფო უნივერსიტეტი

ilimler akademisi მეცნიერებათა აკადემია

Trabzon valisi ტრაპიზონის გუბერნატორი (ვალი)

მესამე იზაფეთი ორნიშნიანია. მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია, საზღვრული დაირთვს მესამე პირის კუთვნილებით სუფიქსს. ამ იზაფეთით გადმოიცემა:

ა) კონკრეტული კუთვნილება

arkadaşımın ailesi ჩემი ამხანაგის ოჯახი

öğretmenin gözünüğü მასწავლებლის სათვალე

odanın kapısı ოთახის კარი

çocuğın babası ბავშვის მამა

kitabın yaprakları წიგნის ფურცლები

ბ) ნაწილის მიმართება მთელთან

dersin sonu გაკვეთილის დასასრული

odanın yarısı ოთახის ნახევარი

defterlerin çoğu რვეულების უმეტესი ნაწილი

ekmeğın bir dilimi პურის ერთი ნატეხი

ağacın tepesi ხის კენწერო

გ) სუბიექტის ან ობიექტის მიმართება მოქმედებასთან (ასეთ შემთხვევაში საზღვრული ძირითადად მოქმედების მანერის აღმნიშვნელი სახელია):

çocuğın ağlayışı ბავშვის ტირილი

mektubun okunuşu წერილის წაკითხვა

milletvekilinin söylevi დეპუტატის სიტყვა
gözlerinin bakışı მისი თვალების გამოხედვა
harflerin söylenişi ბგერების წარმოთქმა

AİLEMİZ

Her ailenin bir adı var. Bizim ailemizin adı Erkut'tur. Erkut bizim soyadımızdır. Ben Kaya Erkut'um. Ablam Tülin Erkut'tur. Babam da Mehmet Erkut'tur. Bizim soyadımızda başka kimseler de var. Bunlardan biri amcam Ahmet Erkut'tur. Amcam babamın kardeşidir. Amcamın çocukları var. Onlar babamın yeğenleridir. Amcamın karısı benim yengemdir. Babamın bir de kız kardeşi var. O benim halamdır.

Annemin bir erkek kardeşi ve bir kız kardeşi var. Annemin erkek kardeşi benim dayımdır, kız kardeşi ise teyzemdir.

Benim iki dedem var. Birisi babamın babasıdır, birisi de annemin babası. Babamın annesi yok. Annemin annesi var. O benim anneannem yani ninemdir.

Amcam, dayım, halam, teyzem, onların çocukları, dedelerim, ninem, yengem akrabalarımıdır.

Yakın komşularımız da var. Onların çocukları benim arkadaşlarımdır. Ablamın, annemin ve babamın da arkadaşları var.

სიტყვები:

abla უფროსი და
ad სახელი
aile ოჯახი
akraba ნათესავი
başka სხვა
her ყოველი
kardeş ძმა
karı ცოლი
kimse ვინმე
kız kardeş და
komşu მეზობელი

biri, birisi ერთი მათგანი
dayı ბიძა, დედის ძმა
dede პაპა, ბაბუა
erkek kardeş ძმა
hala მამიდა
nine ბებია
soyadı გვარი
teyze დეიდა
yeğen ძმის ან დის შვილი;
ძმისწული ან დისწული
yenge აქ: ბიცოლა

სავარჯიშო:

1. თარგმნეთ ტექსტი ქართულად წერილობით.
2. ამოწერეთ ტექსტიდან მსაზღვრელ-საზღვრულები და მიაწერეთ, რომელი იზაფეთია.
3. თარგმნეთ თურქულად: ოქროს სამაჯური, რკინის კიბე, ვერცხლის საათი, ბორბალოს მთა, ქლაქი ბათუმი, სოფელი ანაგა, გაზეთი "ალია", საბავშვო წიგნი, მამაჩემის ძმა, დედაჩემის დედა, ჩაის ფინჯანი, ეზოს კარი, ამ ოთახის კედლები, დამოუკიდებლობის დღე, ბაზალეთის ტბა.

§2. მესამე სახის ბრუნება

მესამე სახის ბრუნებას განეკუთვნება შემდეგი სახელები:

- 1) ვველა სახელი, რომელსაც დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი სუფიქსი;
- 2) ნაცვალსახელები: bu, şu, o, kendi;
- 3) -ki სუფიქსიანი სახელები (-ki სუფიქსით წარმოებული მიმართებითი ზედსართავი სახელები და მიმართებითი ნაცვალსახელები).

ბრუნვის ნიშნები:

სახელობითი

ნათესაობითი

მიცემითი

ბრალდებითი

ადგილობითი

დაწყებითი

-nin, -nin, -nun, -nün

-na, -ne

-ni, -ni, -nu, nü

-nda, -nde

-ndan, -nden

სახ.	evi	bu	kendi	yarınki	seninki	babası
ნათ.	evinin	bunun	kendinin	yarınkinin	seninkinin	babasının
მიც.	evine	buna	kendine	yarınkine	seninkine	babasına
ბრ.	evini	bunu	kedini	yarınkini	seninkini	babasını
ადგ.	evinde	bunda	kendinde	yarınkindе	seninkinde	babasında
დაწყ.	evinden	bundan	kendinden	yarınkinden	seninkinden	babsından

- Şu defter seninki mi?
- Hayır, benimki çantamdadır.
- Ya o kitap?
- O kitap da benimki değil, onunkidir.
- Şu kalem yanındaki öğrencinin mi?
- Hayır, yanımdakinin değil, benimkidir.
- Şu çanta sizinki mi?
- Hayır, benimki sıranın altındadır.
- Ya kimindir?
- Onundur.
- Onunki mi?
- Evet, onunki.
- Benimki nerede?
- Sizinki sandalyededir.
- Senin defterin nerede?
- Benimki çantamın içindedir.

SINIFIMIZIN RENKLERİ

Bu sınıfımızdır. Sınıfımızın duvarları krem rengi, tavanı beyaz, kapı ve pencereleri açık mavi renktir. Tabanı ise kül rengidir. Sıralarımız açık sarı, yazı tahtamız kara ve öğretmen kürsüsü kahve rengidir. Kürsünün üzerinde renk-renk tebeşirler vardır. Sıraların üzerinde de defterler, kalemler ve kitaplar var.

Yanımdaki öğrencinin krem rengi sözlüğü ve açık kahve rengi kitabı var. Benim de kitabımın rengi açık kahve rengidir. Arkamdaki arkadaşım sarışındır, yanımdaki ve önümdeki arkadaşlarım ise esmerdirler.

NERELİSİNİZ?

- Günaydın!
- Günaydın!
- Affedersiniz, sizin adınız ne?
- Benim adım Taner'dir.

- Bay Taner, siz nerelisiniz?
- Ben Türk'üm. Ya siz?
- Ben Gürcü'yüm.
- Affedersiniz, adınız ne?
- Adım Tamaz'dır.
- Siz buralı mısınız?
- Hayır, buralı değilim, Batum'luyum. Siz İstanbul'lu musunuz?
- Hayır İstanbul'lu değilim, Edirneli'yim. Bay Tamaz, siz üniversiteli misiniz?
- Evet, üniversiteliyim.
- Kaçınıcı sınıftasınız?
- Birinci sınıftayım.
- Hangi fakültede?
- Hukuk fakültesinde.
- Batum'da kiminiz var?
- Batum'da annem, babam, ve bir kardeşim var.
- Kardeşiniz erkek mi, kız mı?
- Erkektir.
- Erkek kardeşiniz kaç yaşında?
- On yaşındadır, orta okul öğrencisidir.
- Ana-babanız necidirler?
- Annem doktor, babam fizikçidir.
- Şimdi neredeler? Batum'da mı, Tiflis'te mi?
- İkisi de Batum'da.

სიტყვები და გამოთქმები:

alt ქვეშ	იქ შიგ, შიგნით
arka უკან	ikisi ორივე
benimki ჩემი კუთვნილი, ჩემი საკუთრება	kendi თვითონ, თავად, საკუთარი თავი
fizikçi ფიზიკოსი	kiminiz var ვინ გყავთ?
günaydın დილა შშვიდლობისა	krem კრემი
hukuk სამართალი	kürsü კათედრა

neci რა პროფესიის, რა
სპეციალობის?

okul სკოლა

orta საშუალო

ön წინ

renk-renk ფერად-ფერადი

seninki შენი კუთვნილი, შენი
საკუთრება

sözlük ლექსიკონი

üniversiteli უნივერსიტეტის
სტუდენტი

üzer ზედ

yan გვერდი

yandaki გვერდით მყოფი,
გვერდით მდებარე

yarinki ხვალინდელი

yazi ნაწერი, დამწერლობა

yazi tahtası საწერი დაფა

ანდაზები:

Akıl yaşta değil, baştadır. Ak köpek, kara köpek ikisi de köpektir. Bir eve bir baca, bir karıya bir koca. Bugünün çocuğu yarının adamıdır. Deliye her gün bayram. Duvarların kulağı var. Her yokuşun bir inişi, her inişin bir yokuşu var. Erkek aslan aslan da, dişi aslan, aslan değil mi? İnsan insanın aynasıdır.

სიტყვები:

aslan ლომი

bugün დღევანდე-

iniş დაღმართი

ლი დღე

ayna სარკე

deli გიჟი

koca ქმარი

baca საკვამლე მილი

dişi ძუ

yarın ხვალინდელი

bayram დღესასწაული,
ბაირამი

erkek კაცი; აქ:
ხვალი

დღე, ხვალ

yokuş აღმართი

სავარჯიშო:

1. აბრუნეთ შემდეგი სიტყვები: şa, çocuğ, defterleri, onunki, buradaki
2. ქართულად თარგმნეთ წერილობით ტექსტი "Sınıfımızın renkleri".
3. ამოიწერეთ ტექსტიდან მაგალითები იზაფეთზე და აღნიშნეთ, რომელი იზაფეთია.
4. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს თურქულად:
 1. Adınız ve soyadınız nedir?
 2. Nerelisiniz?
 3. Kaç yaşındasınız?
 4. Üniversiteli misiniz?
 5. Kiminiz var?
 6. Onlar necidirler?
5. წერილობით თარგმნეთ ქართულად ანდაზები და დაისწავლეთ ზეპირად.

მეზვიდე ბაკვეთილი

§1. ზ მ ნ ა

თურქულ ზმნას აქვს უპირო და პირიანი ფორმები. უპირო ფორმებია: მასდარები, მიმლეობები და აბსოლუტივები. პირიანი ფორმებია კილოები და ღროები.

მასდარები:

მასდარი მოქმედების სახელია. მას ნაზმნარ სახელსაც უწოდებენ; აქვს ზმნის მთავარი თვისება – სახელს მართავს ბრუნვაში და აქვს სახელის მთავარი თვისებაც – ბრუნება. არსებობს მასდარების მთელი ჯგუფი: -mak მასდარი, -ma მასდარი, -dik მასდარი და -acak მასდარი.

1) -mak მასდარი, დანარჩენი მასდარებისაგან განსხვავებით, აბსტრაქტული სახელია, რის გამოც არ დაირთავს მრავლობითი რიცხვის და კუთვნილების სუფიქსებს.

-mak მასდარი იბრუნვის (არა აქვს მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვა), შეიწყობს თანდებულებს.

სახელობითი	-mak
ნათესაობითი	_____
მიცემითი	-mağa
ბრალდებითი	-mağı
ადგილობითი	-makta
დაწყებითი	-maktan

-mak მასდარის მაწარმოებელი სუფიქსებია -mak, -mek, რომლებიც ზმნის ფუძეს ერთვის: ol-mak (ყოფნა), git-mek (წასვლა), gel-mek (მოსვლა), de-mek (თქმა), düş-mek (დაცემა, ვარდნა) და ა.შ.

2) -ma, -me მასდარი კონკრეტული მოქმედების სახელია, ირთავს მრავლობითი რიცხვის და კუთვნილების სუფიქსებს, იბრუნვის (აქვს ყველა ბრუნვა), შეიწყობს თანდებულებს, მონაწილეობს II და III იზაფეთის კონსტრუქციაში. მაწარმოებელი სუფიქსებია: -ma, -me (ol-ma, git-me, gel-me, de-me, düş-me).

-ma მასდარის ბრუნვა:

სახ.	- ma, -me
ნათ.	-manın, -menin
მიც.	-maya, -meye
ბრ.	-mayı, -meyı
ადგ.	-mada, -mede
დაწყ.	-madan, -meden

კუთვნილებითსუფიქსიანი -ma მასდარი:

მხ. რიცხვი

I პირი:	olmam,	gitmem,	gelmem,	demem,	düşmem
II პირი:	olman,	gitmen,	gelmen,	demen,	düşmen
III პირი:	olması,	gitmesi,	gelmesi,	demesi,	düşmesi

მრ. რიცხვი

I პირი:	olmamız,	gitmemiz,	gelmemiz,	dememiz,	düşmemiz
II პირი:	olmanız,	gitmeniz,	gelmeniz,	demeniz,	düşmeniz
III პირი:	olmaları,	gitmeleri,	gelmeleri,	demeleri,	düşmeleri

3) -iş მასდარი მორფოლოგიურად -ma მასდარისაგან არ განსხვავდება. არის შინაარსობრივი სხვაობა: -iş მასდარი მოქმედების მანერას გამოხატავს. მისი მაწარმოებელი სუფიქსებია: -iş, -iş, -uş, -üş (oluş, gidiş, geliş, düşüş) თანხმოვანფუძიანი ზმნებისათვის და -yış, -yiş, -yuş, -yüş ხმოვანფუძიანი ზმნებისათვის:

ağla- yış (ტირილი), de-yiş, atla-yış (ნახტომი), üşü-yüş (გაცეხა), usu-yuş (ყეფა), benimse-yiş (შეთვისება).

4) -dik და -acak მასდარები ძალიან ახლოს დგას -ma მასდართან, მაგრამ მისგან განსხვავებით, -dik და -acak მასდარებს ზედსართავი სახელის თვისებებიც აქვს და მოქმედების დროის გაგებაც: -dik მასდარი მომხდარი მოქმედების სახელია, -acak მასდარი კი - სამომავლოდ განზრახული მოქმედებისა. თანამედროვე თურქულ ენაში -dik და -acak მასდარების ადგილს ხშირად იკავებს -ma მასდარი.

-dik მასდარის მაწარმოებელი სუფიქსებია:

ხმოვნისა და მჟღერი თანხმოვნის შემდეგ: -dık, -dik, -duk, -dük
ყრუ თანხმოვნის შემდეგ: -tık, -tik, -tuk, -tük

-dik მასდარი კუთვნილებითი სუფიქსითაც გვხვდება და კუთვნილებითი სუფიქსის გარეშეც. -acak მასდარი კი ყოველთვის კუთვნილებითსუფიქსიანია. ორივე მასდარი იბრუნვის და წინადადებაში სხვადასხვა წევრის ფუნქცია აქვს.

-acak მასდარის მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნის შემდეგ: -acak, -ecek

ხმოვნის შემდეგ: -yacak, -yecek

შენიშვნა: ზმნის ძირის ბოლოკიდური ყრუ ხშული თანხმოვანი ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვის შემთხვევაში არ ჩაინაცვლებს შესატყვის მუღერს ანუ არ გამჟღერდება. გამონაკლისია მხოლოდ ორი ზმნა **gitmek** და **etmek**, რომლებშიც **t** თანხმოვანი ჩაინაცვლებს **d** თანხმოვანს ანუ მჟღერდება.

gitmek წასვლა (ზმნა)

gid-iş წასვლა (მასდარი)

yardım etmek დახმარება (ზმნა)

yardım ed-iş დახმარება (მასდარი)

gid-ecek-leri yer მათი წასასვლელი ადგილი

yardım ed-ecek-leri günler მათი დახმარების დღეები

დავკლებ: თარგმნეთ ქართულად შემდეგი წინადადებები:

1. Çocuğın okumak arzusu var.
2. Savaşa girmek kolaydır, ondan çıkmak zordur.
3. Zamanında derse girmeniz lâzım.
4. Bu okuma kitabı kimindir?
5. Bu kızın gülüşü de çok güzel, yürüyüşü de.
6. Doğduğu gün.
7. Yazdığın sözlerin anlamı nedir?
8. Yapacağınız işler çok mu? Hayır, yapacağım iş yok.
9. Yorgun musunuz? Gectiğiniz yol uzundur.
10. Sana diyeceğim birkaç kelime var.

anlam მნიშვნელობა, აზრი, შინაარსი	lâzım საჭირო
arzu სურვილი	okumak კითხვა; სწავლა
çıkmaq გასვლა	savaş ომი, ბრძოლა
doğmak დაბადება	yazmak წერა
geçmek გავლა	yapmak კეთება
girmek შესვლა	yorgun დაღლილი
gülmek გაცინება, სიცილი	yürümek სიარული
iş საქმე	zamanında დროულად,
kelime სიტყვა	თავის დროზე
kolay ადვილი	zor ძნელი

§2. მოქმედების სახის კატეგორია

თურქულ ენაში მოქმედების ოთხი სახე არსებობს: დადებითი, უარყოფის, შესაძლებლობითი და შეუძლებლობითი. დადებითი სახე უნიშნოა, მას მაწარმოებელი სუფიქსი არ გააჩნია. უარყოფა იწარმოება -ma, -me სუფიქსებით, შესაძლებლობა – -abil/-yabil, -ebil/-yebil სუფიქსებით და შეუძლებლობა -ama/-yama, -eme/-yeme სუფიქსებით. სახის მაწარმოებელი სუფიქსი წინ უსწრებს მასდარის, მიმღების, აბსოლუტივის, კილოს და დროის მაწარმოებელ სუფიქსებს და ზმნის ფუძის შიგნით არის მოქცეული.

bilmek ცოდნა

bil-me-mek არცოდნა

bil-ebil-mek ცოდნის შესაძლებლობა

bil-emek ვერ ცოდნა, ცოდნის შეუძლებლობა

§3. ბრძანებითი კილო

ბრძანებითი კილო გამოხატავს ბრძანებას, მოწოდებას, თხოვნას, სურვილს. დრო ფაქტობრივად მხოლოდ ერთი აქვს: მყოფადი. მხოლოდობით რიცხვში პირველი პირის ფორმა საერთოდ

არა აქვს, ხოლო მრავლობითში საკუთარი ნიშნის უქონლობის გამო იყენებს ნატვრითი კილოს პირველი პირის ფორმას.

კილოს მაწარმოებელი სუფიქსებია:

მხ. რიცხვი

I პირი _____

II პირი ზმნის ფუძეა, მაწარმოებელი არა აქვს

III პირი -sin, -sın, -sun, -sün

მრ. რიცხვი

I პირი თანხმოვნის შემდეგ: -alım, -elim

ხმოვნის შემდეგ: -yalım, -yelim

II პირი თანხმოვნის შემდეგ: -ınız, -iniz, -unuz, -ünüz (-ın, -in, -un, -ün)

ხმოვნის შემდეგ: -yınız, -yiniz, -yunuz, -yünüz (-yın, -yin, -yun, -yün)

III პირი -sınlar, -sinler, -sunlar, -sünler

უღლები პარადიგმები (დადებითი და უარყოფის სახეები)

დადებითი სახე

ზმნა gelmek

ზმნა yazmak

მხ. რიცხვი

II პირი gel მოდი!

yaz წერე! დაწერე!

III პირი gelsin მოვიდეს!

yazsın წეროს! დაწეროს!

მრ. რიცხვი

I gelelim მოვიდეთ!

yazalım ვწეროთ! დავწეროთ!

II geliniz მოდიოთ!

yazınız (yazın) წერეთ! დაწერეთ!

III gelsinler მოვიდნენ!

yazsınlar წერონ! დაწერონ!

II gelme არ მოხვიდე!
III gelmesin არ მოვიდეს!

yazma არ დაწერო!
yazmasın არ დაწეროს!

მრ. რიცხვი

I gelmeyelim არ მოვიდეთ!
II gelmeyiniz არ მოხვიდეთ!
III gelmesinler არ მოვიდნენ!

yazmayalım არ ვწეროთ!
არ დავწეროთ!
yazmayınız (yazmayın) არ წეროთ!
არ დაწეროთ!
yazmasınlar არ წერონ!
არ დაწერონ!

ტექსტი

Bugün evde çok işimiz var, çünkü bayram günüdür.

- Leyla, gel, bana yardım et! Ali'ye söyle, o da gelsin ve bana yardım etsin! Biz, üçümüz, annemize yardım edelim

-Ali, git, çiçek al! Leyla, sen burasını temizle! Unutmayınız, bugün bayram var. Her köşe-bucağın temiz olması gerek.

* * *

- Fikret, kitabım galiba sendedir. Lütfen, yarın getir, bana çok lazımdır.

- Hayır, kitabın bende değil, Ayşe' dedir.

- Lütfen, kitabımı Ayşe'den al, bu akşam bana getir!

- Peki, ama bu akşam Ayşe evde değil.

- Başka çare yok, yarın derste kitabımı Ayşe' den al ve bana getir, çünkü bana çok lazımdır.

VÜCÜDÜMÜZ

- Suna, ayağa kalk ve söyle bana, vücüdümüz kaç kısımdır?
- Üç kısımdır, öğretmenim.
- Peki, kısımların adları söyle!
- Baş, gövde, kollar ve bacaklar.
- Başımızda neler var?
- Başımızda saçlar, alın, kaş, kirpikler, burun, kulak, yanak, dudak, ağız ve çene var.
- Normal insanın kaç gözü var?
- Normal insanın bir alını, iki kaşı, iki gözü, birçok kirpikleri, bir burnu, iki kulak, iki yanağı, iki dudağı, bir ağız ve bir çenesi var. Ağız içinde bir dil ve otuz iki diş var.

ანდაზები:

Atın ölümü arpadan olsun! Ayağını yorganına göre uzat! Bin defa ölç, bir defa kes! Köpegi an, çomağını yanına koy! Ne şiş yansın, ne kebab! Üzümü ye, bağını sorma!

სიტყვები და გამოთქმები:

ağız პირი	burun ცხვირი
akşam საღამო	çare საშუალება, გამოსავალი, გზა
alın შუბლი	çene ნიკაპი, ყბა
almak აღება	çomak კომბალი
(-den almak - გამორთმევა, წამოღება)	defa -ჯერ, -ხელ; (bir defa- ერთჯერ, ერთხელ)
baş თავი	dil ენა
anmak ხსენება	diş კბილი
at ცხენი	dudak ბაგე, ტუჩი
ayağa kalkmak ფეხზე აღგომა	galiba ალბათ
bacak ფეხი (ზემოდან ტერფამდე)	gerek საჭიროა
bağ ვენახი	getirmek მოტანა
başka სხვა	göre მიხედვით (მიცემითი ბრუნვის თანდებული)

burası აქაურობა

gövde ტანი

iş საქმე

kaş წარბი

kebab მწვადი

kesmek ჭრა, გაჭრა

kirpik წამწამი

kısım ნაწილი

kol მკლავი (kollar ve bacaklar

კიდურები)

koymak დადება

köşe-bucak კუთხე-კუნჭული

kulak ყური

lâzım საჭირო; (bana lâzım

მჭირდება)

lütfen გეთაყვა, თუ შეიძლება

ne . . . ne - არც . . . არც

ölçmek გაზომვა

ölüm სიკვდილი

saç თმა

sormak შეკითხვა

söylemek თქმა, ლაპარაკი

şiş შამფური

temizlemek დასუფთავება,

გასუფთავება

unutmak დავიწყება

uzatmak გაჭიმვა, გაწვდენა

üzümüz ჩვენ სამნი

üzüm ყურძენი

vücüt სხეული

yanak ლოყა

yanmak წვა

yarın ხვალ

yemek ჭამა

yorgan საბანი

სავარჯიშო:

1. აუღლეთ ბრძანებით კილოში ზმნები: söylemek, unutmak, getirmek, uzatmak, temizlemek, anmak, kesmek, koymak, sormak, yanmak, yemek, ölçmek, kalkmak.

2. თარგმნეთ თურქულად წერილობით:

1. ჩემ მეზობელს შავი ძაღლი ჰყავს.
2. ამ ქერა გოგონას გრძელი თმები აქვს.
3. ცისფერი თვალები ძალიან ლამაზია.
4. ეს შავთვალა ბავშვი ვისია?
5. პატარა ბავშვს ყველა კბილი არა აქვს.

3. თარგმნეთ ანდაზები ქართულად და დაისწავლეთ ზეპირად.

4. აწარმოეთ უარყოფითი, შესაძლებლობის და შეუძლებლობის სახეები შემდეგი დადებითი მასდარებიდან: yemek, yanmak, sormak, ölçmek, uzatmak, kesmek, gitmek, okumak, yazmak, almak, düşmek, girmek, yürümek, çıkmak.

§1. თხრობითი კილოს მარტივი დროები

თხრობითი კილო რეალური მოქმედების გამოხატველი დროა. იგი იყოფა მარტივ და რთულ გრამატიკულ დროებად.

მარტივი დროებია: აწმყო-განსაზღვრული დრო, ნამყო-კატეგორიული დრო, მომავალი-კატეგორიული დრო, ნამყო-შედევობითი დრო და აწმყო-მყოფადი დრო. ყველა დროს აქვს დასწრებული და დაუსწრებელი აქტის ფორმები.

აწმყო-განსაზღვრული დრო

გამოსატავს მოქმედებას, რომელიც ლაპარაკის მომენტში ხდება ან გააზრებულია ლაპარაკის მომენტში. დროის მაწარმოებელი სუფიქსებია:

ხმონის შემდეგ: -yor

თანხმონის შემდეგ: -iyor, -iyor, -uyor, -üyor

პირის ნიშნებია შემასმენლობითი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები. მესამე პირის ფორმა დროის ფუძეა. მხოლოდობით რიცხვში მას პირის ნიშანი არ ერთვის,

მრავლობითში მხოლოდ რიცხვის ნიშანს ირთავს. დროს აქვს მოქმედების ყველა სახის ფორმები, მტკიცებითიც და კითხვითიც.

უღლების მაგალითები: ზმნები yazmak, demek

დადებითი სახე

მხ. რიცხვი

I yaz-iyor-um ვწერ

de-yor-um > di-yor-um ვამბობ

II yaz-iyor-sun წერ

de-yor-sun > di-yor-sun ამბობ

III yaz-iyor წერს

de-yor > di-yor ამბობს

მრ. რიცხვი

I yaz-iyor-uz ვწერთ

de-yor-uz > di-yor-uz ვამბობთ

II yaz-iyor-sunuz წერთ

de-yor-sunuz > di-yor-sunuz ამბობთ

III yaz-iyor-lar წერენ

de-yor-lar > di-yor-lar ამბობენ

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yaz-iyor muyum? ვწერ?

di-yor muyum? ვამბობ?

II yaz-iyor musun? წერ?

di-yor musun? ამბობ?

III yaz-iyor mu? წერს?

di-yor mu? ამბობს?

მრ. რიცხვი

I yaz-iyor muyuz? ვწერთ?

di-yor muyuz? ვამბობთ?

II yaz-iyor musunuz? წერთ?

di-yor musunuz? ამბობთ?

III yaz-iyor-lar mı? წერენ?

di-yor-lar mı? ამბობენ?

უარყოფის სახე (yazmamak, dememek)

მხ. რიცხვი

I yazma-yor-um >yazmı-yor-um არ ვწერ

demi-yor-um არ ვამბობ

II yazma-yor-sun >yazmı-yor-sun არ წერ

demi-yor-sun არ ამბობ

III yazma-yor >yazmı-yor არ წერს

demi-yor არ ამბობს

მრ. რიცხვი

I yazmı-yor-uz არ ვწერთ

demi-yor-uz არ ვამბობთ

II yazmı-yor-sunuz არ წერთ

demi-yor-sunuz არ ამბობთ

III yazmı-yor-lar არ წერენ

demi-yor-lar არ ამბობენ

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yazmı-yor muyum? არ ვწერ?

demi-yor muyum? არ ვამბობ?

II yazmı-yor musun? არ წერ?

demi-yor musun? არ ამბობ?

III yazmı-yor mu? არ წერს?

demi-yor mu? არ ამბობს?

მრ. რიცხვი

I yazmı-yor muyuz? არ ვწერთ?

demi-yor muyuz? არ ვამბობთ?

II yazmı-yor musunuz? არ

demi-yor musunuz? არ ამბობთ?

წერთ?

III yazmı-yor-lar mı? არ წერენ?

demi-yor-lar mı? არ ამბობენ?

შესაძლებლობის სახე (yazabilmek, diyebilmek)

მხ. რიცხვი

I yazabil-iyor-um შემიძლია წერა	diyebil-iyor-um შემიძლია თქმა
II yazabil-iyor-sun შეგიძლია წერა	diyebil-iyor-sun შეგიძლია წერა
III yazabil-iyor შეუძლია წერა	diyebil-iyor შეუძლია თქმა

მრ. რიცხვი

I yazabil-iyor-uz შეგვიძლია წერა	diyebil-iyor-uz შეგვიძლია თქმა
II yazabil-iyor-sunuz შეგიძლიათ წერა	diyebil-iyor-sunuz შეგიძლიათ თქმა
III yazabil-iyor-lar შეუძლიათ წერა	diyebil-iyor-lar შეუძლიათ თქმა

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yazabil-iyor muyum? შემიძლია წერა?	diyebil-iyor muyum? შემიძლია თქმა?
II yazabil-iyor musun? შეგიძლია წერა?	diyebil-iyor musun? შეგიძლია თქმა?
III yazabil-iyor mu? შეუძლია წერა?	deyebil-iyor mu? შეუძლია თქმა?

მრ. რიცხვი

I yazabil-iyor muyuz? შეგვიძლია წერა?	diyebil-iyor muyuz? შეგვიძლია თქმა?
II yazabil-iyor musunuz? შეგიძლიათ წერა?	diyebil-iyor musunuz? შეგიძლიათ თქმა?
III yazabil-iyorlar mı? შეუძლიათ წერა?	diyebil-iyor-lar mı? შეუძლიათ თქმა?

შეუძლებლობის სახე

მხ. რიცხვი

I yazami-yor-um ვერ ვწერ	diyemi-yor-um ვერ ვამბობ
II yazami-yor-sun ვერ წერ	diyemi-yor-sun ვერ ამბობ
III yazami-yor ვერ წერს	diyemi-yor ვერ ამბობს

მრ. რიცხვი

I yazami-yor-uz ვერ ვწერთ	diyemi-yor-uz ვერ ვამბობთ
II yazami-yor-sunuz ვერ წერთ	diyemi-yor-sunuz ვერ ამბობთ
III yazami-yor-lar ვერ წერენ	diyemi-yor-lar ვერ ამბობენ

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yazami-yor muyum? ვერ ვწერ?	diyemi-yor muyum? ვერ ვამბობ?
II yazami-yor musun? ვერ წერ?	diyemi-yor musun? ვერ ამბობ?
III yazami-yor mu? ვერ წერს?	diyemi-yor mu? ვერ ამბობს?

მრ. რიცხვი

I yazami-yor muyuz? ვერ ვწერთ?	diyemi-yor muyuz? ვერ ვამბობთ?
II yazami-yor musunuz? ვერ წერთ?	diyemi-yor musunuz? ვერ ამბობთ?
III yazami-yor-lar mı? ვერ წერენ?	diyemi-yor-lar mı? ვერ ამბობენ?

შენიშვნა: ორ ფართო ხმოვანს (a, e) შორის მღქცეული y -ის წინამავალი ფართო ხმოვანი ვიწროვდება და გვაძლევს შესაბამისად $a > i$, $e > i$. დავიწროებული ხმოვანი ეძორჩილება ხმოვანთა ჰარმონიის კანონს და ემსგავსება თავის წინამავალ ხმოვანს.

KIRTASIYECİDE

- Günaydın, efendim!
- Günaydın, ne arzu ediyorsunuz?
- Çift çizgili defter var mı?
- Çift çizgili defter yok, tek çizgili ve çizgisiz defter var.
- Peki, tek çizgili olsun.
- Kaç yapraklı?
- Kırk ve yüzer yapraklı.
- Kaç adet defter istiyorsunuz?
- Dört adet kırk yapraklı ve iki adet de yüz yapraklı.
- Buyurunuz. Başka şey istemiyor musunuz?
- Bir tükenmez kalem istiyorum.
- Hangilerinden istiyorsunuz? Ucuzlarından mı, yoksa pahalılarından mı?
- Ne gibi tükenmezler var, lütfen, gösteriniz bana!
- İşte, buyurunuz!
- Bunlardan istiyorum. Bir kurşunkalem, iki tükenmez kalem yedeği, bir silgi, bir cetvel, bir tüp zambak ve bir şişe de mürekkep verin!
- Buyurunuz!
- Karbon kâğıdı var mı?
- Hayır, yoktur.
- Hepsi ne tutuyor?
- 1 984 365 lira.
- Allahısmarladık!
- Güle güle, yine buyurunuz!

სიტყვები და გამოთქმები:

adet ცალი	kırtasiyeci საკანცელარიო
Allahısmarladık ნახვამდის	საქონლის გამყიდველი
buyurunuz 1. ინებეთ;	lira ლირა (თურქეთის ფულის
2. მობრძანდით	ერთეული)
çift წყვილი	mürekkep მელანი
çizgi ხაზი, ზოლი	ne gibi რანაირი
göstermek ჩვენება, დანახვება	pahalı ძვირი, ძვირად ღირებული
güle güle ნახვამდის (დამშვიდო-	şişe ბოთლი
ბებაზე საპასუხოდ ამბობენ)	tek ერთი, ერთადერთი, ცალი
hangilerinden რომელთაგან	tek çizgili ცალხაზიანი
hepsi ყველა	tutmak დაჭერა (ne tutuyor? რას
istemek ნდომა, სურვილი,	შეადგენს? რამდენია?)
წადილი	tüp ტუბი
karbon kâğıdı ეგზემპლარის	ucuz იაფი
გასამრავლებელი ქაღალდი	yaprak ფურცელი
	yedek სათადარიგო
	zamlık წებო

სავარჯიშო:

1. თარგმნეთ ტექსტი ქართულ ენაზე წერილობით.
2. აბრუნეთ შემდეგი სახელები: baş, göz, vücut, kulak, çene, bacak, tüp, şişe, pahalı, çizgi, mürekkep.
3. აუღლეთ აწმყო-განსაზღვრულ დროში ზმნები: istemek, sormak, tutmak, göstermek
4. აუღლეთ ბრძანებით კილოში ზმნები: göstermek, tutmak

ARKADAŞIMIN AİLESİ

Benim bir candan dostum var. Adı İskender'dir. 35 yaşında ve evli bir adamdır. Saat fabrikasında mühendistir. Bu fabrikada artık sekiz yıl çalışıyor. Eşi Zeynep Hanım genç, fakat ağırbaşlı bir kadındır. Bir yüksek okulda Türkçe öğretmenidir.

Zeynep Hanım her sabah evden erken çıkıyor ve işe gidiyor. Eve geç dönüyor, çünkü okulda her zaman çok işi vardır. Boş vakti azdır.

Bu karı-kocanın üç çocuğu var: bir oğlu ve iki kızı. Onların küçük kızları Berrin altı yaşındadır. Okula daha devam etmiyor, fakat okumak arzusu var. Büyük kızları yani Berrin'in ablası Selma, ilk okulun ikinci sınıfında okuyor. O çok sevimli, fakat biraz tembel bir kızdır. Oğulları, yani Selma ve Berrin'in ağabeyleri Fikret on iki yaşında, uzun boylu, kara saçlı ve kara gözlü bir çocuktur. Orta okulun altıncı sınıfındadır. Notları her zaman tamdır, çünkü Fikret çok çalışkan ve yetenekli bir öğrencidir. Ana-babası ve öğretmenleri ondan pek memnundurlar.

İskender ve Zeynep çocuklarına çok iyi bakıyorlar. Bu işte onlara Zeynep Hanım'ın anası ve babası, yani İskender'in kaynanası ve kaynatası yardım ediyorlar. Büyük anne ve büyük baba torunlarından pek memnundurlar.

İskender'in de annası ve babası var, ama babası öz değil üveydir. İskender'in daha iki öz kardeşi, bir üvey ablası var. Her iki kardeşi subaydır. Adları Zeki ve Murat'tır. Zeki evli ve iki çocuğu var. Murat bekârdır. Üvey ablası evli değildir.

İskender'in ve Zeynep Hanım'ın birçok akrabaları var: birkaç amca, hala, dayı, teyze, yeğen, amcazadeleri filân.

სიტყვები და გამოთქმები:

ağabey უფროსი ძმა
ağırbaşlı სერიოზული, ჭკვიანი
amcazade ბიძაშვილი ძამის
მხრიდან

artık უკვე
bakmak შეხედვა; აქ: მიხედვა,
მოვლა-პატრონობა
bekâr უცოლო
boş თავისუფალი
büyük აქ: ასაკით უფროსი

büyük anne დიდდა, ბებია
büyük baba პაპა, ბაბუა
candan dost გულითადი მეგობარი
çalışmak მუშაობა
çıkmaq გასვლა
daha ჯერ კიდევ
devam etmek რეგულარულად
სიარული სადმე
dönmek დაბრუნება

evli გათხოვილი, ცოლიანი
eş მეუღლე
fabrika ფაბრიკა, ქარხანა
filân/falan და ა.შ.
geç გვიან
hanım ქალბატონი
ilk okul დაწყებითი სკოლა
iş საქმე; სამსახური
karı-koca ცოლ-ქმარი
oğul ვაჟიშვილი
okula devam ediyor სკოლაში

დადის

orta okul საშუალო სკოლა
öz საკუთარი, ღვიძლი, მკვიდრი
sabah დილა
sevimli საყვარელი
subay ოფიცერი
Türkçe თურქული ენა
üvey ნაცვალი, გერი
üvey baba მამინაცვალი
üvey kardeş გერი ძმა
yüksek okul უმაღლესი
სასწ კლებელი, ინსტიტუტი

სავარჯიშო:

1. თარგმნეთ ტექსტი ქართულად წერილობით.
2. ამოწერეთ ტექსტიდან იზაფეთის მაგალითები და მიუწერეთ, რომელი იზაფეთია.
3. აუღლეთ აწმყო-განსაზღვრულ დროში ზმნები: çıkmak, dönmek, yardım etmek, gitmek, söylemek.
4. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს წერილობით:
 1. İskender kaç yaşındadır?
 2. İskender'in eşinin adı ne?
 3. Zeynep Hanım nasıl bir kadındır?
 4. Zeynep Hanım'ın boş vakti var mı?
 5. Karı-kocanın kaç çocuğu var?
 6. Çocukların adlarını söyleyiniz!
 7. Fikret nasıl bir çocuktur?
 8. Karı-kocaya kim yardım ediyor?
 9. İskender'in öz babası var mı?
 10. İskender'in kardeşleri necidirler?
 11. Çocuklardan kimler memnun?
 12. Karı-kocanın ne gibi akrabaları vardır?

Evim Fevzi Paşa Mahallesi'ndedir. Doğduğum, büyüdüğüm evimi çok seviyorum. Geniş bir bahçenin ortasında iki katlı, sağlam bir yapıdır. Bahçe yolu taş döşelidir.

Yolun iki yanı çimenliktir. Bahçemizde meyve ağaçları ve renkreng çiçekler vardır. Bahçeye bakmak emekli dedemin görevidir.

Evimizin geniş bir kapısı var. Girişinde büyük bir salon var. Biz orada paltolarımızı, ayakkabılarımızı çıkarıyoruz. Salonun sağ tarafında misafir odası vardır. Salonun sol tarafında oturma odası bulunuyor. Annem, babam, dedem, ninem, Tülin ablam ve ben burada oturuyoruz. Burada yemek yiyoruz. Alt katta mutfak, erzak odası, yüz numara ve banyo var. Oturma odamızda bir divan, iki koltuk, televizyon, radyo, bir kitaplık ve çiçek saksıları var. Mutfakta bir yemek masası, sandalyeler, mutfak sobası, buzdolabı ve bir büfe var.

Üst katta dört oda vardır. Bu odalardan biri ana-babamın yatak odasıdır, biri - dedemin ve ninemin odasıdır. Tülin ablam ve ben bir odada birlikteyiz. Dördüncü oda çalışma odamızdır. Burada babam, Tülin ablam ve ben çalışıyoruz. Çalışma odamızda kitap dolu bir kitaplık ve uzun bir yazı masası var.

Ana-babamın yatak odasına iki kişilik bir yatak, dört kanatlı elbise dolabı ve bir boy aynası var.

Odalarımız güneşli ve aydınlıktır. Sağlığa elverişlidir.

სიტყვები და გამოთქმები:

alt ქვედა	büfe ბუფეტი
ayakkabı ფეხსაცმელი	büyümek გაზრდა
ayna სარკე	çalışma odası სამუშაო ოთახი
boy aynası დიდი სარკე, კედლის	çıkarmak გახდა, გაძრობა
	çimen მოლი
bahçe yolu ბალის ბილიკი	divan დივანი
banyo სააბაზანო	dolap კარადა
buzdolabı მაცივარი	

dolu სავსე (kitap dolu წიგნებით
სავსე)

döşeli აქ: მოკირწყლული (taş döşeli ქვაფენილი, მოკირწყლული)

elbise dolabı ტანსაცმლის
კარადა, გარდერობი

elverişli სასარგებლო,
ხელშემწყობი

emekli პენსიონერი

erzak სურსათი (erzak odası
საკუჭნაო)

giriş შესასვლელი

görev მოვალეობა, სამსახური

iki kişilik ორადგილიანი,
ორსაწოლიანი

kanat ფრთა; აქ: კარი
kitaplık წიგნების კარადა,
ბიბლიოთეკა

koltuk სავარძელი

mahalle უბანი

misafir სტუმარი

mutfak სამზარეულო
orta შუა

oturmak 1. ცხოვრება; 2. ჯდომა
oturma odası საცხოვრებელი
ოთახი

palto პალტო

sağlam გამძლე, მტკიცე, მაგარი,
მკვიდრი

sağlık ჯანმრთელობა

saksı ყვავილების ქოთანა

salon მისაღები ოთახი, სალონი

sevmek სიყვარული

soba ღუმელი, ქურა

taş ქვა

üst ზედა

yan მხარე; გვერდი

yatak odası საწოლი ოთახი

yazı masası საწერი მაგიდა

yemek masası სასადილო

მაგიდა

yüz numara ტუალეტი

სავარჯიშო:

1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს წერილობით:

1. Kaç katlı evde oturuyorsunuz?

2. Sizin daireniz (ბინა) kaç odalıdır?

3. Çalışma odanız var mı?

4. Mutfağınızda neler var?

5. Senin yatak odan var mı?

6. Misafir odanızda neler var?

7. Evinizin avlusunda meyve ağaçları ve çiçekler var mı?

8. Senin odan kaçınıcı kattadır?

9. Yatak odan güneşli ve aydınlık mıdır?

2. აუღლებთ ბრძანებით კილოსა და აწმყო-განსაზღვრულ დროში ზმნები: bulunmak, çıkarmak, sevmek.

3. დაურთეთ ყველა პირის (ორივე რიცხვის) კუთვნილებითი სუფიქსები: mutfak, görev, dolap, buzdolabı, misafir, koltuk, divan, ayna სიტყვებს.

მეცხრე ბაკვეთილი

§1. მიმღეობები

მიმღეობა ზმნის უპირო ფორმებს განეკუთვნება. იგი ნაზმნარი ზედსართავი სახელია. აქვს სახელის თვისებებიც და ზმნისაც. სახელის თვისებათაგან მას აქვს ბრუნება და თანდებულის შეწყობის უნარი. ზმნური თვისებებია დროის გაგება და სახელის მართვა ბრუნვაში. თურქულ ენაში მიმღეობების ხუთი ჯგუფი არსებობდა, რომელთაგან ერთი ხმარებაში აღარ არის, დანარჩენი ოთხი თანამედროვე თურქულ ენაშიც აქტიურად გამოიყენება. ეს ჯგუფებია: 1) -yor მიმღეობა, 2) -an მიმღეობა, 3) -ar მიმღეობა, 4) -acak მიმღეობა, 5) -miş მიმღეობა.

-yor მიმღეობა თანამედროვე თურქულ ენაში მხოლოდ აწმყო-განსაზღვრული დროის პირიანი ფორმების წარმოებას უღვევს საფუძვლად, სხვა ფუნქცია აღარ აკისრია.

-an მიმღეობა იწარმოება -an, -en, -yan, -yen სუფიქსებით, რომლებიც ზმნის ნებისმიერი სახის ფუძეს დაერთვის. ამ მიმღეობას დროის სემანტიკა არ გააჩნია და ამიტომ არცერთი გრამატიკული დროის პირიანი ფორმების საფუძველს არ წარმოადგენს. კონტექსტის მიხედვით იგი აწმყო დროსაც შეიძლება გამოხატავდეს და ნამყოსაც.

bunu yazan adam ამის დამწერი კაცი
saraya benzeyen kule სასახლის მსგავსი კოშკი
ağlayan çocuk მტირალი ბავშვი
esen rüzgâr მქროლავი ქარი

düşünen hayvan მოაზროვნე ცხოველი
atılan ok გასროლილი ისარი
faydası olmayan göz ურგები თვალი

-ar მიმღეობა გამოხატავს ჩვეულ, რეგულარულ და პოტენციურ მოქმედებას. იგი არ არის დროით შეზღუდული. უფრო მოქმედების უნარს გამოხატავს, ვიდრე კონკრეტულ მოქმედებას. მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსებია:

1) ხმოვანფუძიან ზმნებთან: -r

2) ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან (15 ზმნის გარდა) ზმნებთან: -ar, -er

3) მრავალმარცვლიან თანხმოვანფუძიან ზმნებთან და ერთმარცვლიან 15 ზმნასთან: -ır, -ir, -ur, -ür

გამონაკლისი 15 ზმნაა: almak, bilmek, bulmak, denmek, durmak, gelmek, görmek, kalmak, olmak, ölmek, sanmak, varmak, vermek, vurmak, yenmek.

4) უარყოფის და შეუძლებლობის სახის ზმნებთან: -z

yazar მწერალი

akar su მდინარე (მიმდინარე წყალი)

güvenilir insan სანდო ადამიანი

çalar saat მალევიდარა საათი (საათი, რომელიც რეკავს)

açar gasalები, gasasxსნელი

bilgisayar კომპიუტერი (ცოდნის გამოძთველი)

güler yüzlü პირმცინარი

dayanılmaz ağrı აუტანელი ტკივილი, გაუსაძლისი

ტკივილი

beklenilmez cevap მოულოდნელი პასუხი

görür göz მხედველი თვალი

okur მკითხველი

okur-yazar წიგნიერი (წერა-კითხვის მცოდნე)

sönmez ateş ჩაუქრობელი ცეცხლი

utanmaz adam ურცხვი ადამიანი

-acak მიმღეობა გამოხატავს განზრახულ მოქმედებას. საფუძვლად უდევს მომავალი კატეგორიული დროის პირიანი ფორმების წარმოებას. იბრუნვის, შეიწყობს თანდებულებს და

ერთავს მრავლობითი რიცხვის ნიშანს. მას მომავალი დროის მიმღობასაც უწოდებენ.

მიმღობის მაწარმოებელი სუფიქსებია: -acak, -ecek თანხმოვნის შემდეგ
-yacak, -yecek ხმოვნის შემდეგ

gelecek zaman მომავალი დრო
okunacak kitap წასაკითხი (წასაკითხავი) წიგნი
kalkacak tren გასასვლელი მატარებელი
ağırlanacak konuk გასამასპინძლებელი სტუმარი
oturacak yer დასაჯდომი ადგილი
ağlanacak talih სატირალი ბედი
diyecek სათქმელი
yiyecek საჭმელი
gidecek yol წასასვლელი გზა

-miş მიმღობა ნამყო დროის მიმღობის სახელით არის ცნობილი. გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს. საფუძვლად უდევს ნამყო-შედევობითი დროის პირიანი ფორმების წარმოებას.

მიმღობის მაწარმოებელი სუფიქსებია: -mış, -miş, -muş, -müş
geçmiş zaman წარსული დრო
kurumuş ağaç გამხმარი ხე
pişmiş aş მოხარული საჭმელი
ölmüş eşek მკვდარი ვირი
sönmüş gözler ჩამქრალი თვალები
solmuş çiçek დამჭკნარი ყვავილი
açık bırakılmış kapı ღიად დატოვებული კარი
olmuş meyve მწიფე ხილი

SELİM

Selim, Selim,
Bu eller kimin?
Benim.
Bu gözler kimin?
Benim.
Aferin, Selim!

Selim, Selim,
Bu dağlar kimin?
Benim.
Bu bağlar kimin?
Benim.
Yapma, Selim!

Selim, Selim,
Uçan kuşlar kimin?
Benim.
Esen rüzgâr kimin?
Benim.
Allah mısın, Selim?!

A a a h, Selim,
V a a h, Selim,
Bu insanlar kimin?
Benim. . .
Kör ol, Selim!

Orhan Murat Arıburnu

AKILLI MAYMUNLAR

Biz, maymungillerden
İnsanoğulları,
Düşünen hayvan,
O büyük zavallı,
Kuş beyinli,

Koyun gözlü,
Keçi sakallı.
Kimimiz akıllı maymun,
Kimimiz maymun akıllı. . .

Ümit Yaşar

ანდაზები:

1. Acıyan çok, para veren yok.
2. Ağırlanacak misafir yüzünden bellidir.
3. Bana dokunmayan yılan bin yaşasın!
4. Bana faydası olmıyan göz çıksın!
5. Gelene git deme!
6. Gözden irak olan gönülde de ıraktır.
7. Oldu olacak.
8. Öksüze acıyan çok, ekmek veren yok.

9. Pişmiş aşı su katma!

10. Serçeden korkan, darı ekmesin!

სიტყვები და გამოთქმები:

acıma შებრალება, თანაგრძნობა
aferin ყოჩაღ! აფერუმი!
Allah ღმერთი
belli ნათელი, ცხადი, შესამჩნევი
beyin ტვინი
çıkma აქ: ამოვარდნა
dağ მთა
darı ფეტვი
dokunmak შეხება
ekmek პური; თესვა
el ხელი
esmek ქროლვა
gönül გული
irak შორს
insanoğlu ადამის ძე, ადამიანი
katmak დამატება
keçi თხა
kimimiz ზოგიერთი ჩვენგანი

koyun ცხვარი
kör olmak დაბრმავება
kuş ფრინველი, ჩიტი
maymungiller მაიმუნისნაირნი,
პრიმატები
olmak ყოფნა, არსებობა
öksüz ობოლი
sakal წვერი
serçe ბელურა
uçmak ფრენა
vermek მიცემა
yapmak კეთება, ქმნა, ჩადენა
yaşamak ცხოვრება; სიცოცხლე
yılan გველი
yüz აქ: სახე, პირისახე
zavallı საწყალი, საბრალო,
საცოლავი

სავარჯიშო:

1. აწარმოეთ მიმღებობები შემდეგი ზმნებიდან: acınak, dokunmak, vermek, yapmak, katmak, olmak, uçmak, yaşamak.

2. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ მიიღოთ გამართული წინადადებები:

1. adam, dayımdır, benim, bu.
2. masada, çiçekler, solmuş, var.
3. ne, öğretmenimiz, dersanede, yapıyor, şimdi.
4. oturan, alçak, sandalyede, kız, sarışın, şu.
5. çalışkan, tamdır, zaman, notları, her, öğrencinin.

6. Ankara'da, ailesi, arkadaşımın, yaşıyor.
7. evi, çok, onun, uzaktır.
8. karadır, köpeği, komşularımın.
9. akrabalarınız, nerede, sizin, yaşıyorlar?
10. kalkıyor, zaman, tren, ne?

3. თარგმნეთ ქართულად და ზეპირად დაისწავლეთ ლექსები და ანდაზები.

მეათე გაკვეთილი

§1. თანდებულება

განვიხილავთ უმთავრეს, ხშირად ხმარებულ თანდებულებს: gibi, için, ile, kadar, göre, doğru, rağmen, dolayı, önce/evvel, sonra, başka, fazla.

gibi, için, ile, kadar თანდებულები პირის, ჩვენებით და kim ნაცვალსახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ეწყობა, დანარჩენ სახელებთან კი სახელობით ბრუნვას.

I. gibi და kadar თანდებულები მსგავსებას გამოხატავს იმ სხვაობით, რომ gibi-ანი ფორმები თვისებრივი მსგავსების შინაარსს გადმოსცემს, kadar თანდებულიანი ფორმები კი რაოდენობრივ მსგავსებას გვიჩვენებს.

ne gibi - რანაირი, რაგვარი, როგორი

ne kadar - რაოდენი, რამდენი, რა რაოდენობის

Sende de onun gibi güzellik var, ama onun kadar güzel değilsin - შენც იმასავით ლამაზი ხარ, მაგრამ იმდენად ლამაზი არა ხარ.

Atını dost gibi sakla, düşman gibi bin! - ცხენს მეგობარავით გაუფრთხილდი, მტერავით შეაჯექი!

Buz kadar soğuk suyu getirin bana! - ყინულივით ცივი (ყინულისოდენ ცივი) წყალი მომიტანეთ!

benim gibi ჩემნაირი

senin gibi შენნაირი

onun gibi მისნაირი

benim kadar ჩემოდენა

senin kadar შენოდენა

onun kadar იმოდენა

kimin gibi ვისნაირი kimin kadar ვისოდენა

II. için თანდებულიანი სახელი მიზეზს ან მიზანს გამოხატავს.

ne için / niçin რატომ, რისთვის

kimin için ვისთვის

Çok bilmek için çok çalışmak gerek ბევრი ცოდნისათვის ბევრი შრომაა საჭირო.

Ağlama ölü için, ağla diri için ნუ იტირებ მკვდრისთვის, იტირე ცოცხლისათვის.

Benim için han ve külhan birdir ჩემთვის ხანი და მაწანწალა ერთია.

III. ile თანდებულიც პირის, ჩვენებით და kim ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვასთან შეეწყობა, დანარჩენ სახელებს კი სახელობითთან. ზემოთ დასახელებულ თანდებულთაგან ile ერთადერთია, რომელიც სახელთან შერწყმითაც გვხვდება. ასეთ შემთხვევებში მას რამდენიმე ვარიანტი აქვს:

თანხმოვნის შემდეგ: -la, -le

ხმოვნის შემდეგ: -yla, -yle

1. ile თანდებულიანი სახელი თანაობას, თანხლებას გამოხატავს. ზოგჯერ გავრცობილია birlik, beraber სიტყვებით (birlikte, beraber - ერთად)

Gel, kardeşim, seninle beraber oynayalım მოდი, ძმაო, მე და შენ ერთად ვითამაშოთ.

Öğretmen öğrencileri ile beraber bir metin okuyorlar მასწავლებელი და მისი მოსწავლეები ერთად ტექსტს კითხულობენ.

Dost ile ye, iç, alış-veriş yapma! მეგობართან ერთად ჭამე, სვი, არ ივაჭრო!

2. ile თანდებულიანი სახელი აღნიშნავს მოქმედების იარაღს, ინსტრუმენტს ან საშუალებას:

bıçak ile (bıçakla) დანით;

bununla ამით;

kaşık ile (kaşıkla) კოვზით;

ounula იმით;

el ile (elle) ხელით;


arabasıyla (arabası ile) მისი

მანქანით

Kendi elinle yaz! შენი საკუთარი ხელით დაწერე!

Akşam treniyle (treni ile) gitmek istiyor salamოს მატარებლით წასვლა უნდა.

შენიშვნა: gibi, için, kadar, ile თანდებულები მრავლობით რიცხვში (-lar, -ler ნიშნთან) მყოფ ყველა სახელს სახელობით ბრუნვასთან შეეწყობა:



IV. kadar, göre, doğru, rağmen თანდებულები მიცემით ბრუნვაში მყოფ სახელს ახლავს და მას სხვადასხვა შინაარსს ანიჭებს.

1. kadar თანდებული გამოხატავს ზღვარს, მიჯნას სივრცეში ან დროში, მისი ქართული შესატყვისია -მდე თანდებული.

eve kadar სახლამდე	yarına kadar ზვალამდე
buraya kadar აქამდე	ikinciye kadar მეორემდე
nereye kadar სადამდე	kime kadar ვისამდე
oraya kadar იქამდე	denize kadar ზღვამდე
okula kadar სკოლამდე	ona kadar saymak ათამდე თვლა
akşama kadar საღამომდე	

2. göre თანდებულთან სახელი გამოხატავს დაპირისპირების ან შედარების წყაროს, ანდა მსჯელობის ამოსავალ საფუძველს. ქართულად გადმოიციემა "თანახმად, როგორც, მიხედვით" სიტყვებით:

onun sözlerine göre მისი სიტყვების თანახმად
bildiğime göre როგორც ვიცი
buna göre ამის მიხედვით
havaya göre ამინდის მიხედვით
bakışına göre მისი გამოხედვის მიხედვით

3. dođru თანდებული მიმართულებას გამოხატავს. მისი ქართული შესატყვისია -კენ თანდებული.

ona dođru მისკენ

eve dođru სახლისკენ

ađaca dođru ხისკენ

bize dođru ჩვენკენ

(dođru ზედსართავი სახელიც არის. ნიშნავს მართალს, პირდაპირს, სწორს. იგი წინ უსწრებს სახელს და განსზღვრავს მას. მაგალითად: dođru cevap სწორი პასუხი, dođru yol პირდაპირი გზა, dođru insan მართალი ადამიანი, dođru okula git! პირდაპირ სკოლაში წადი! და სხვ.)

4. rađmen თანდებული თუმცაობით-დათმობითი შინაარსის გამოხატველია. ქართულად გადმოიციემა სიტყვებით: მიუხედავად, თუმცა... მაგრამ

yađmura rađmen წვიმის მიუხედავად (თუმცა წვიმს, მაგრამ)

söylediđime rađmen ჩემი ნათქვამის მიუხედავად (თუმცა ვთქვი, მაგრამ)

her şeye rađmen ყველაფრის მიუხედავად

hasta olduđuna rađmen ავად ყოფნის მიუხედავად (თუმცა ავად არის, მაგრამ)

V. başka, dolayı, fazla თანდებულები სახელს მართავს დაწყებით ბრუნვაში და სხვადასხვა შინაარსს გადმოსცემს:

1. başka აღნიშნავს ანალოგიურ დანარჩენთაგან გამოყოფილ პირს ან საგანს. ქართულად "გარდა" თანდებულით გადმოიციემა.

senden başka შენ გარდა

bu kitaptan başka ამ წიგნის გარდა

çocuklardan başka ბავშვების გარდა

annemden başka დედაჩემის გარდა

2. dolayı მიზეზ-შედგობრივ ურთიერთობებს გადმოსცემს. მისი ქართული შესატყვისია "გამო".

bundan dolayı ამის გამო

gittikten dolayı წასვლის გამო

güzelliğinden dolayı მისი სილამაზის გამო
hasta olduğumdan dolayı ჩემი ავად ყოფნის გამო

3. fazla თანდებული აღნიშნავს დაწყებით ბრუნვაში მყოფი სახელით გამოხატულ ზღვარზე მეტს, მომეტებულს:

bundan fazla ამაზე მეტი

beş kişiden fazla ხუთ სულზე მეტი

ondan fazla ათზე მეტი

iki günden fazla ორ დღეზე მეტი

saydığından fazla შენ რომ დათვალე, იმაზე მეტი

sandığımdan fazla მე რომ მეგონა, იმაზე მეტი

VI. önce და sonra თანდებულები რიცხვითი სახელით და რაოდენობის გამომხატველი სახელებით განსაზღვრულ დროის სემანტიკის მქონე სახელს მართავს სახელობით ბრუნვაში, ყველა დანარჩენ სახელს კი - დაწყებით ბრუნვაში და სხვადასხვა შინაარსს გადმოსცემს.

1. önce და მისი არაბული წარმოშობის სინონიმი evvel თანდებულები გამოხატავს იმას, რომ მოქმედება ან მოვლენა მოხდა ამ თანდებულებით მართული სახელით აღნიშნულ ფაქტზე ადრე.

dersten önce (dersten evvel) გაკვეთილამდე, გაკვეთილზე ადრე

sinemaya gittikten önce (evvel) კინოში წასვლამდე

yemekten önce (evvel) ჭამამდე, ჭამის წინ

bizden önce (evvel) ჩვენზე ადრე

senden önce (evvel) შენზე ადრე

birkaç saat önce (evvel) რამდენიმე საათის წინ

beş gün önce (evvel) ხუთი დღის წინ

kaç dakika önce (evvel) რამდენი წუთის წინ

2. sonra თანდებულები სახელი გამოხატავს მომენტს, რის შემდეგაც ხდება მოქმედება ან მოვლენა:

zil çaldıktan sonra ზარის დარეკვის შემდეგ

öğleden sonra შუადღის შემდეგ, ნაშუადღევს

bundan sonra ამის შემდეგ

senden sonra შენ შემდეგ
bir yıl sonra ერთი წლის შემდეგ
birkaç ay sonra რამდენიმე თვის შემდეგ

VII. beri თანდებულიანი სახელი გამოხატავს მოქმედების ხანგრძლივობას მისი დაწყების მომენტიდან ლაპარაკის მომენტამდე.

beri თანდებული შეეწყობა დაწყებით ბრუნვაში მყოფ სახელს.

Dün akşamdan beri yağmur yağıyor გუშინ საღამოდან მოყოლებული (გუშინდელი საღამოს აქეთ) წვიმს.

Sabahtan beri hiçbir şey yemedim დილიდან მოყოლებული (დილის აქეთ) არაფერი მიჭამია,

Çoktan beri mi buradasınız? დიდი ხანია რაც აქ ხართ?

§2. ნამყო-კატეგორიული დრო

ნამყო-კატეგორიული დრო კილოს მიხედვით თხრობითია. დროის მიხედვით – წარსული. გამოხატავს ლაპარაკის მომენტისათვის უკვე დამთავრებულ ერთგზის მოქმედებას.

დროის მაწარმოებელი სუფიქსებია:

ყრუ თანხმოვნების შემდეგ: -tı, -ti, -tu, -tü

დანარჩენი ბგერების შემდეგ: -dı, -di, -du, -dü

პირიანი ფორმები იწარმოება მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმიდან, რომელიც ამავე დროს ნამყო-კატეგორიული დროის ფუძეა.

პირის ნიშნებია:

მხ. რიცხვი

I პირი -m

II პირი -n

III პირი _____

მრ. რიცხვი

-k

-nız, -niz, -nuz, -nüz

დროის ფუძე -lar, -ler

დადებითი სახე (ზმნა yapmak - კეთება)

მს. რიცხვი

I yap-tı-m გავაკეთე

II yap-tı-n გააკეთე

III yap-tı გააკეთა

მრ. რიცხვი

yap-tı-k გავაკეთეთ

yap-tı-nız გააკეთეთ

yap-tı-lar გააკეთეს

კითხვითი ფორმა

მს. რიცხვი

I yaptım mı? გავაკეთე?

II yaptın mı? გააკეთე?

III yaptı mı? გააკეთა?

მრ. რიცხვი

yaptık mı? გავაკეთეთ?

yaptınız mı? გააკეთეთ?

yaptılar mı? გააკეთეს?

უარყოფის სახე (ზმნა yapmamak - არ კეთება)

მს. რიცხვი

I yapma-dı-m არ გავაკეთე

II yapma-dı-n არ გააკეთე

III yapma-dı არ გააკეთა

მრ. რიცხვი

yap-ma-dı-k არ გავაკეთეთ

yapma-dı-nız არ გააკეთეთ

yapma-dı-lar არ გააკეთეს

კითხვითი ფორმა

მს. რიცხვი

I yapmadım mı? არ გავაკეთე?

II yapmadın mı? არ გააკეთე?

III yapmadı mı? არ გააკეთა?

მრ. რიცხვი

yapmadık mı? არ გავაკეთეთ?

yapmadınız mı? არ გააკეთეთ?

yapmadılar mı? არ გააკეთეს?

შესაძლებლობის სახე (ზმნა yapabilmek - კეთების შესაძლებლობა)

მს. რიცხვი

I yapabil-di-m შევძელი ვაკეთება

II yapabil-di-n შეძელი ვაკეთება

III yapabil-di შეძლო ვაკეთება

მრ. რიცხვი

yapabil-di-k შევძელით ვაკეთება

yapabil-di-niz შეძელით ვაკეთება

yapabil-di-ler შეძლეს ვაკეთება

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yapabildim mi? შევძელი

გაკეთება?

II yapabildin mi? შეძელი

გაკეთება?

III yapabildi mi? შეძლო

გაკეთება?

მრ. რიცხვი

yapabildik mi? შევძელით

გაკეთება?

yapabildiniz mi? შეძელით

გაკეთება?

yapabildiler mi? შეძლეს

გაკეთება?

შეუძლებლობის სახე (ზმნა yapamamak - ვერ კეთება)

მხ. რიცხვი

I yapama-dı-m ვერ გავაკეთე

II yapama-dı-n ვერ გააკეთე

III yapama-dı ვერ გააკეთა

მრ. რიცხვი

yapama-dı-k ვერ გავაკეთეთ

yapama-dı-nız ვერ გააკეთეთ

yapama-dı-lar ვერ გააკეთეს

კითხვითი ფორმა

მხ. რიცხვი

I yapamadım mı? ვერ გავაკეთე?

II yapamadın mı? ვერ გააკეთე?

III yapamadı mı? ვერ გააკეთა?

მრ. რიცხვი

yapamadık mı? ვერ გავაკეთეთ?

yapamadınız mı? ვერ გააკეთეთ?

yapamadılar mı? ვერ გააკეთეს?

KİTAPÇIDA

Metin trolleybüse bindi ve üç durak sonra indi. Bu durakta İhsan'ı gördü. Metin ona yaklaştı ve:

- Günaydın, İhsan, - dedi, - burada "Aydınlık" adında kitap mağazası var mı?

İhsan:

- Evet, var, - dedi, - bu çok büyük bir kitap mağazasıdır. İşte, orada, birkaç adım ötededir.

Metin birkaç adım sonra mağazaya girdi ve bir Türkçe sözlük istedi. Satıcı derhal bir sözlük çıkardı ve bir kağıda sardıktan sonra Metin'e verdi.

-lira dedi.

Metin sözlüğü ödedi, teşekkür etti ve mağazadan çıktı.

სიტყვები:

adım ნაბიჯი	istemek მოთხოვნა, თხოვნა
adında სახელწოდების მქონე	mağaza მაღაზია
binmek დაჯდომა, ჩაჯდომა	ödemek საფასურის გადახდა
ტრანსპორტზე, ტრანსპორტში	ötede იქით
çıkarmak ამოღება, გამოღება	sarmak გახვევა, შეხვევა
derhal მაშინვე, მყისვე	satıcı გამყიდველი
durak გაჩერება	teşekkür etmek მადლობის
girmek შესვლა	გადახდა
görmek დანახვა	yaklaşmak მიახლოება, ახლოს
inmek ჩასვლა	მისვლა

სავარჯიშო:

1. აუღლეთ ნამყო-კატეგორიულ დროში შემდეგი ზმნები: ödemek, yaklaşmak, sarmak, istemek, görmek, binmek.

2. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. Metin kaç durak sonra trolleybüsten indi?
2. Durakta kimi gördü?
3. Metin İhsan'a ne sordu?
4. Kitap mağazası duraktan uzak mı?
5. Kitap mağazası duraktan kaç adımdadır?
6. Metin satıcıdan ne istedi?
7. Satıcı sözlüğü neye sardı?
8. Sözlüğü aldıktan sonra Metin ne yaptı?

3. ჩასვით ბრუნვის ნიშნები წერტილების ადგილზე:

1. Evinizden üniversite . . . kadar kaç kilometre var?
2. Ders . . . sonra nereye gidiyorsunuz?
3. Beş dakika . . . önce zil çaldı.
4. Sen . . . gibi çalışkan öğrenci sınıfta var mı?

5. Metin sözlüğü ödedik . . . sonra mağazadan çıktı.
6. İhsan . . . ile Metin durakta birkaç dakika durdular.
7. Siz tembel öğrencisiniz, ama o . . . kadar tembel değilsiniz.
8. Biz . . . için bir iş var mı?
9. Babam aileden gittik . . . sonra annem . . . le ben yalnız kaldık.
10. Rüzgar . . . rağmen hava soğuk değildir.

YENİ PAZAR

Mahalledeki herkes "Yeni Pazar" hakkında konuşuyor. Yeni Pazar şehrin dışında, hava alanının yanında. Yeni Pazarda yüzden fazla dükkân var.

İki tane çok büyük süpermarket var. Ondan fazla konfeksiyon dükkanı var. Büyük bir oyuncak dükkanı var. İki ayakkabı mağazası var. Üç eczane ve dört lokanta var. Tiyatro bile var.

Mahalledeki insanlar çok mutlular. Çünkü şehrimizde çok büyük bir pazar var. Fakat bazı komşularımız çok üzgün. Çünkü onların dükkanları yeni pazardan çok uzak. İnsanlar genellikle yeni pazardan alış-veriş yapıyorlar.

სიტყვები და გამოთქმები:

alış-veriş yapmak ვაჭრობა,

ალეხ-მიცემობა

ayakkabı ფეხსაცმელი

bazı ზოგი, ზოგიერთი

dış გარეთ

dükkân მაღაზია

eczane აფთიაქი

fazla მეტი

genellikle საზოგადოდ,

ჩვეულებრივ, როგორც წესი

hakkında შესახებ

hava alanı აეროდრომი

herkes ყველა

konfeksiyon მზა ტანსაცმელი

konuşmak საუბრობა, ბაასი

lokanta სასადილო

mahalle უბანი, დასახლება

mutlu ბედნიერი

oyuncak სათამაშო

pazar ბაზრობა, სავაჭრო

ცენტრი

süpermarket სუპერმარკეტი

tiyatro თეატრი

üzgün შეწუხებული

yanında გვერდით

yeni ახალი

სავარჯიშო:

1. აუღლებთ აწმყო-განსაზღვრულ და წამყო-კატეგორიულ დროებში ზმნები: çıkarmak, alış-veriş yapmak, girmek, konuşmak.

2. წერილობით უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. Yeni Pazar hakkında kim konuşuyor?
2. Yeni Pazar nerede bulunuyor?
3. Yeni Pazarda kaç tane süpermarket var?
4. Ayakkabı ve oyuncak mağazaları var mı?
5. İnsanlar genellikle nereden alış-veriş yapıyorlar?
6. Bazı insanlar neden üzgün?
7. Sizin mahallenizde süpermarket var mı?
8. Süpermarket evinizden yakın mı, uzak mı?
9. Siz genellikle nereden alış-veriş yapıyorsunuz?
10. Komşularınız üzgün mü yoksa mutlu mu?

SAAT KAÇ?

-Affedersiniz, saat kaç?

-Saat sekizi beş geçiyor.

-Saatiniz doğru mu?

-Neden sordunuz?

-Çünkü benim saatime göre şimdi sekize on var.

-Ben saatimi bu sabah ayarladım. Sizin saatiniz doğru çalışmıyor.

-Hakkınız var. Biraz geri kalıyor.

-Saatçiye götürdünüz mü?

-Kaç kere! .

-Yeni saat almanız gerek. Bugün saat kaçtan kaçta dersiniz var?

-Saat dokuzdan on üç buçuğa kadar.

-Şu anda konferansınız var mı?

-Hayır, şu anda teneffüsteyim. Konferansımız on dakika sonra başlıyor.

-Saat kaçta başlıyor?

-On biri yirmi dakika geçe başlıyor ve on ikiyi yirmi dakika geçe bitiyor.

-Bu sabah saat kaçta evden çıktınız?

-Saat dokuza yirmi beş dakika kala çıktım.

-Saat kaçta üniversiteye geldiniz?

-Saat tam dokuzda.

სიტყვები და გამოთქმები:

affedersiniz უკაცრავად,
მაპატიეთ, ბოდიში

almak ყიდვა
ayarlamak მომართვა,

başlamak დაწყება
bitmek დამთავრება, გათავება

buçuk ნახევარი
ders გაკვეთილი, მეცადინეობა

doğru სწორი
geçer როცა გადასულია

gerek საჭიროა

geri უკან

geri kalıyor ჩამორჩება
götürmek წაღება; მიტანა

hakkınız var მართალი
ბრძანდებით, სწორი ბრძანდებით,

kaç kere რამდენჯერ
kala როცა აკლია, რომ აკლია

neden რატომ, რა მიზეზით
öğle შუადღე

saat kaç რომელი საათია

şu anda ამჟამად, ამ მომენტში
tam ზუსტი, ზუსტად

სავარჯიშო:

თარგმნეთ თურქულად:

1. სამის ოცი წუთია. ორიდან გადასულია ოცი წუთი.
2. ზუსტად ცხრა საათზე გაკვეთილი მეწყება.
3. ახლა რომელი საათია? თორმეტს აკლია თხუთმეტი წუთი.
4. რვის ნახევარზე კინოში მიდიან.
5. ამ დღით სახლიდან რომელ საათზე გამოხვედი?
6. ცხრას რომ აკლდა ოცი წუთი.
7. შენი საათი სწორია?
8. დიახ, ამ დღით მოვმართე.
9. ზარი დაირეკა. პერამდენე ლექცია იწყება?
10. სამს აკლია ათი წუთი, მეექვსე ლექცია იწყება.

მეთერთმეტე გაკვეთილი

§1. აბსოლუტივები

აბსოლუტივი ზმნის უპირო ფორმაა. გამოხატავს მეორეხარისხოვან მოქმედებას, რომლის ფონზე ხდება მთავარი მოქმედება. აბსოლუტივი წინადადებაში გარემოებითი წევრია. აბსოლუტივები ორ ჯგუფს ქმნის: დროის გარემოების გამომხატველი აბსოლუტივები და ვითარების გარემოების გამომხატველი აბსოლუტივები.

ა) დროის აბსოლუტივები: -eli, -ince, -ken

I. -eli აბსოლუტივიანი ზმნა გამოხატავს მეორეხარისხოვან მოქმედებას, რომელიც საკმაოდ დიდი ხნით წინ უსწრებს მთავარ მოქმედებას დროში. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოხატავს ადრეულ წინამავლობას დროის პლანში. ამ აბსოლუტივის მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნის შემდეგ: -alı, -eli

ხმოვნის შემდეგ: -yalı, -yeli

Yazımızı deđiřtireli birkaç yıl geçti mas შემდეგ რაც დამწერლობა შევიცვალეთ, რამდენიმე წელი გავიდა.

Namık esaretten döneli üç ay oldu mas შემდეგ რაც ნამიკი ტყვეობიდან დაბრუნდა, სამი თვე გავიდა.

Civardaki dađlara kar yağalı havalar sođudu mas შემდეგ რაც გარეუბნის მთებზე ჩამოთოვა, აცივდა.

Evinize gelmiyeli kaç gündür? რამდენი დღეა, რაც თქვენ სახლში არ მოსულა?

II. -ince აბსოლუტივი გამოხატავს უშუალო წინამავლობას დროის პლანში: აბსოლუტივიანი ზმნით გამოხატული მეორეხარისხოვანი მოქმედება მცირე ინტერვალით წინ უსწრებს მთავარ მოქმედებას. ამ აბსოლუტივის მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნის შემდეგ: -ınca, -ince, -unca, -ünce

ხმოვნის შემდეგ: -yınca, -yince, -yunca, -yünce

Ders bitince not defterimi çantama koydum გაკვეთილის დამთავრებისთანავე (როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა) ბლოკნოტი ჩანთაში ჩავიდე.

Sözlerimi işitince sevinçten yerinden fırladı როგორც კი ჩემი სიტყვები გაიგონა, სიხარულისაგან ადგილიდან წამოხტა.

Tilki böyle söyleyince geyik inandı მელიამ ასე რომ განაცხადა, ირემმა დაიჯერა.

Mektubunu okuyunca hemen ağlamaya başladı როგორც კი მისი წერილი წაიკითხა, მაშინვე ატირდა.

თურქულ ენაში არსებობს გაქვავებული gelince ფორმა, რომელიც შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულია ამავე ზმნის აბსოლუტივიანი ფორმისაგან და გადმოსცემს შინაარსს - "რაც შეეხება", მაგრამ ხშირ შემთხვევაში -ince აბსოლუტივი gelmek ზმნასთან თავისი პირდაპირი მნიშვნელობითაც იხმარება.

1. Bana gelince, ben daha küçük köşkü tercih ediyorum. რაც შეეხება მე, მე უფრო პატარა კოშკი მირჩევნია.

2. Küp kapağına gelince, o bugün de yerindedir. რაც შეეხება ქვევრის სარქველს, ის დღესაც თავის ადგილზეა.

მაგრამ:

1. Kapıya gelince anahtarı cebinden çıkardı. კართან რომ მივიდა, გასაღები ჯიბიდან ამოიღო.

2. Kızın yanına gelince oğlan hayretten ağzını açtı. გოგოს რომ მიუახლოვდა, ბიჭმა გაოცებისაგან პირი დააღო.

*შენიშვნა: ფორმალური დამთხვევა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც **gelince** ფორმა დაკავშირებულია მიცემით ბრუნვაში მყოფ სახელთან.*

თუ -ince აბსოლუტივი უარყოფის ამ შეუძლებლობის სახის ზმნისაგან არის ნაწარმოები, მისი შინაარსის ქართული შესატყვისია: სანამ . . . არ, ვიდრე . . . არ.

Tren durmayınca inme! მატარებელი სანამ არ გაჩერდება ნუ ჩახვალთ!

Ödevini yapmayınca odadan çıkmasın! ვიდრე დავალებას არ შეასრულებს, ოთახიდან არ გავიდეს!

-ince აბსოლუტივის სინტაქსური ეკვივალენტებია:

1) ნამყო-კატეგორიული დროის მესამე პირის კითხვითი ფორმა -dı mı?

2) აწმყო-მყოფადი დროის მიმღებობის დადებითი და უარყოფითი სახეების გაორმაგებული ფორმა -ar -maz

3) კუთვნილებითაფიქსიანი -ma მასდარი, რომელსაც ახლავს beraber სიტყვით გავრცობილი ile თანდებული (ile beraber).

Mektubunu aldım mı, açtım ve okumaya başladım. როგორც კი შენი წერილი მივიღე, გავხსენი და კითხვა დავიწვეე.

Çocuk yedi yaşına bastı mı, onu okula götürdüler. ბავშვი შვიდი წლის რომ შესრულდა, იგი სკოლაში წაიყვანეს.

Zil çalar çalmaz, öğrenciler dersaneye girdiler. ზარი დაირეკა თუ არა, მოსწავლეები აუდიტორიაში შევიდნენ.

Oğlan kızı görür görmez, akli başından gitti. ბიჭმა გოგო დაინახა თუ არა, ჭკუა დაკარგა.

Sıran gelmesiyle beraber ayağa kalk ve cevap ver! როგორც კი შენი რიგი მოვა, ფეხზე წამოდექი და მიპასუხე!

Tren hareket etmesiyle beraber yerime oturdum. მატარებელი როგორც კი დაიდრა, ჩემ ადგილზე დავჯექი.

III. -ken აბსოლუტივი გამაოხატავს პარალელურ მოქმედებას დროის პლანში ანუ მთავარი მოქმედება და მეორეხარისხოვანი მოქმედება ერთდროულად, პარალელურად მიმდინარეობს.

-ken აბსოლუტივი ერთადერთ ზმნას (imek) ერთვის. imek ზმნა დეფექტური დრონაკლი ზმნაა. იგი მხოლოდ მაკავშირებელი ზმნაა. ამ ზმნას დართული -ken გვაძლევს iken კონფიგურაციას და შემდეგ ამ ფორმით მიერთვის სხვადასხვა ბრუნვაში მყოფ სახელებს, მათ შორის მიმღებობსაც. iken ფორმაში სახელთან შეწყობისას i- ანუ ზმნის ფუძისეული ბგერა იკარგება ან

ტრანსფორმირდება y-ად ანუ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან იგი წარმოდგენილია -yken ფორმით, ხოლო თანხმოვნების შემდეგ -ken ფორმით.

Mektubunu okurken gözümün önüne geldin. როდესაც შენ წერილს ვკითხულობდი, თვალწინ დამიდექი.

Küçük maymun kırdı gezerken yeşil kabuklu bir ceviz buldu. პატარა მაიმუნმა მინდორში სეირნობისას მწვანე ლენჯოიანი კაკალი იპოვა.

Mustafa Kemal ilk okuldayken babası öldü. როდესაც მუსტაფა ქემალი დაწყებით სკოლაში იყო, მამამისი გარდაიცვალა.

Hoca yatakta iken sokakta bir gürültü koptu. ზოჯა როდესაც ლოგინში იწვა, ქუჩაში რაღაც ხმაური ატყდა.

ბ) ვითარების აბსოლუტივები: -arak, -a, -ip

I. -arak აბსოლუტივი გამოხატავს პარალელურ მოქმედებას ვითარების პლანში. ძირითადი მოქმედება მიმდინარეობს მეორეხარისხოვანი მოქმედების ანუ აბსოლუტივიანი ზმნით გადმოცემული მოქმედების საერთო ფონზე. მისი მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნების შემდეგ: -arak, -erek

ხმოვნების შემდეგ: -yarak, -yerek

სუფიქსები ზმნის ფუძეს დაერთვის.

Genç adam başını çevirerek söze başladı. ახალგაზრდა კაცმა თავი მიატრიალა და სიტყვა დაიწყო.

Baba-kız birbirine bakarak gülüyorlar. მამა და ქალიშვილი ერთმანეთს უყურებენ და იცინიან

Tilki oynayarak, gülerək suya yaklaştı. მელია თამაშით და სიცილით წყალს მიუახლოვდა.

გვაქვს olmak, bilmek, istemek ზმნების გაქვავებული ფორმები, რომლებიც ვითარების ზმნიზდებად არის ქცეული და შემდეგი სახით გვხვდება:

bilerek (შეგნებულად), isteyerek (განგებ), ilk olarak (პირველად), hediye olarak (საჩუქრად).

II. -a აბსოლუტივიც გამოხატავს პარალელურ მოქმედებას ვითარების პლანში. იგი ადვილად ენაცვლება -arak აბსოლუტივს. მათ შორის სხვაობა ის არის, რომ -arak ერთგზის მოქმედებას გადმოსცემს, -a აბსოლუტივი კი - მრავალგზის მოქმედებას, რომლის ვითარების საერთო ფონზე მიმდინარეობს ძირითადი მოქმედება.

-a აბსოლუტივის მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნის შემდეგ: -a, -e

ხმოვნის შემდეგ: -ya, -ye

სუფიქსები დაერთვის გაორკეცებულ ერთსა და იმავე ზმნას ან გაორკეცებულ ორ სხვადასხვა ზმნას:

Küçük Munise ağlaya ağlaya Feride' nin boynuna sarıldı. პატარა მუნისე ტირილ-ტირილით ყელზე შემოეხვია ფერიდეს.

Cadı sora sora kızın evini buldu. ჯადოქარმა კითხვა-კითხვით იპოვა გოგოს სახლი.

Bu Konya'lılar ne acayıp adamlardır: insana döve döve helvayı ikram ediyorlar. ეს კონიელები რა უცნაური ხალხია: ადამიანს ცემა-ცემით ჰალვით უმასპინძლებიან.

Vapur bata çıka kenara yaklaşıyor. გემი რწყვა-რწყვით (ჩასვლით და ამოსვლით) ნაპირს უახლოვდება.

არის მყარი შესიტყვებები, რომლებიც ამ აბსოლუტივის ფორმებია, ოღონდ არა გაორკეცებულ, არამედ ცალკეულ ზმნებთან. ესენია ზმნები: kalmak და geçmek.

-a აბსოლუტივიანი ფორმები მონაწილეობს დროის გამომხატველ ფორმულაში: kala (აკლია) და geçe (გადასულია). ასევე გაქვავებული ფორმებია göre თანდებული (მიხედვით) და diye - სხვათა სიტყვის ნაწილაკი. გაორკეცებულ ზმნასთან გვაქვს აბსოლუტივი -e დამშვიდობების ფორმულაში güle güle (ნახვამდის).

III. -ip აბსოლუტივი გამოხატავს წინამავლობას ვითარების პლანში. აბსოლუტივიანი ზმნით გადმოცემული მოქმედების ვითარების ფონი წინ უსწრებს ძირითად მოქმედებას.

მაწარმოებელი სუფიქსებია:

თანხმოვნის შემდეგ: -ip, -ip, -up, -üp

ხმოვნის შემდეგ: -yıp, -yip, -yup, -yüp

Odasının önüne gelince cebinden anahtarını çıkarıp kapıyı açtı. თავის ოთახს როცა მიადგა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

Uzun Mehmet Zonguldak'ta maden kömürü arayıp buldu. უზუნ მეჰმედმა ზონგულდაკში ქვანახშირი ეძებდა და იპოვა (აღმოაჩინა).

Anası oğlunu okuldan alıp kardeşinin çiftliğine götürdü. დედამ ვაჟიშვილი სკოლიდან გამოიყვანა და თავისი ძმის მამულში წაიყვანა.

დავალება:

თარგმნეთ ქართულად წერილობით შემდეგი წინადადებები:

1. Rustem askerden döneli birkaç ay geçti.
2. Mustafa Kemal Ankara'ya geleli bugün tam on dört yıl oluyor.
3. Ben Türkçe'ye başlayalı Fransızca'yı bıraktım.
4. Sokaklar tenhalaşınca ben de evime döndüm.
5. Sıram gelince ben de elimi uzattım.
6. Senin mektubunu alınca çok sevindim.
7. Vehbi'ye gelince o çok yaramaz bir çocuktur.
8. Bana gelince, ben son yıllarda çok değiştim.
9. Birkaç saat ders çalışmayınca sokağa çıkamıyorum.
10. Gece olmayınca gökte yıldızlar yok.
11. Tren durdu mu, yolcular inmeye başladılar.
12. İstanbul'a gelir gelmez, bana telefon et!
13. Okutmanımız dersaneye girer girmez hepimiz ayağa kalktık.
14. Hoca daha çocuk iken annesi ölüp babası başka bir kadınla evlendi.
15. Bu sabah köprüden geçerken Edirne'li Kerim Beyi gördüm.
16. Yürüye yürüye dağ başına geldiler.
17. Geyik koşa koşa kaçıp saklandı.
18. Oturup hesap yaptılar.

asker აქ: ჯარი, არმია
 başka სხვა
 başlamak დაწყება
 bırakmak მიტოვება, თავის
 დანებება
 çalışmak მუშაობა
 değışmek შეცვლა
 dönmek დაბრუნება
 el uzatmak ხელის აწევა,
 evlenmek დაქორწინება
 geyik ირემი
 yaramaz ცელქი, ანცი, ონავარი
 kaçmak გაქცევა
 koşmak რბენა, სირბილი

köprü ხიდი
 mektup წერილი
 oluyor ხდება, სრულდება
 saklanmak მიმაღვა, დამაღვა
 sevinmek გახარება
 son ბოლო, უკანასკნელი
 tam ზუსტი, ზუსტად
 telefon etmek ტელეფონზე
 დარეკვა
 tenhalaşmak დაცარიელება,
 გაუკაცრიელება
 hesap yapmak დაანგარიშება
 yıldız ვარსკვლავი
